ტელეფონი მესამე | ფასი 10 კაპ. | ხუთშაბათი, 1917 წ. თიბათვის 29 (11)

# საქართველო

ყველა მოწერა და დაბეჭდვით განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4. ტელეფონი 15—73
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, р. ящ. „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირრება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი. თვიურად გაზეთი ღირს 2 მანეთი.

№ 140 | ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა | № 140


## გაზეთის შინაარსი

### საგულისხმო ცნობები

პანთეონისა და ფრიდმანის ფერმის შუა ფრანგებს გერმანელებთან დიდი ბრძოლა მოუვიდათ. ბრძოლაში სამი დივიზია მონაწილეობდა.

რუსულ მანეთის ფასი დაეცა ფინეთში და სპარსეთში.

კორნილოვის ჯარს ისევ მიაქვს იერიშები.

დიდი ბრძოლა იყო გალიჩისაკენ მიმავალ გზებზე. რუსებმა რამდენიმე სოფელი დაიჭირეს.

საფრანგეთის პალატაში კრიზისის გამო

### წერილები


**მეთაური.** გლეხებმა მესაკუთრეობა ირჩიეს.
**მ. ადამაშვილი.** ომი და საქართველოს ვალი.
**რ. ინგილო.** უკრაინის უნივერსალი.
**შარვაშიძე.** სოციალიზმი საქართველოში.
**ილია ჭყონია.** რადგაჩუმებული გლეხი.



ვუზიარებ გულითად მეგობრებს ჩემს მწუხარებას. თიბათვის 27 ს, ს. ფშაველში გარდაიცვალა ჩემი ძვირფასი ძმა, თბილისის სასულიერო სემინარიის მე-2 ე კლასის მოწაფე

**დავით იორდანიშვილი**

დაკრძალვა—დღეს, უბედურ მამის ეზოში.
1—695—1 ს. იორდანიშვილი.

პარასკევს, თიბათვის 30-ს, დიდუბის ეკლესიაში და საფლავზე გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ოსმალებთან ბრძოლაში მოკლულ შტაბს-კაპიტნის

**კონსტანტინე ილიას ძის ყურულის**

სულის მოსახსენებლად. რასაც აუწყებს განსვენებულის ქვრივი ანნა ილიას ასული ყურულისა. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. 1—696—1

პარასკევს, თიბათვის 30 ს, დიდუბის ეკლესიაში, საფლავზე გადახდილ იქნება წლის-წირვა და პანაშვიდი, ოსმალებთან ბრძოლის დროს მოკლულ შტაბს-კაპიტნის

**კონსტანტინე ილიას ძის ყურულის**

სულის მოსახსენებლად.
რასაც აუწყებენ განსვენებულის მამა ილია, დედა ტერეზია და ძმა ალექსანდრე ყურულები. წირვა დაიწყება 10 საათზე. პანაშვიდი 12 ს.
1—752—1

დღეს, 29 ივნისს დილის 12 საათზე თბილისის კომიტეტი სოც.-ფედ. სარევ. პარტიისა გამართავს საჯარო ლექციას, რუსულ ენაზე „აპოლლოს“ თეატრში (მიხ. პრ.) პეტროგრადის პრივატ-დოცენტი

**შალვა ნუცუბიძე**

წაიკითხავს

**რევოლიუცია და ეროვნული საკითხი**

ლექციის შემდეგ გაიმართება კამათი, მოწვეულია ყველა პარტიის წარმომადგენელი. ბილეთები იყიდება დღეს დილის 10 საათიდან აპოლლოს თეატრში.
1—753—1

**კრებული და მნათე დიდუბის**

ღვთისმშობლის ეკლესიისა აუწყებენ მრევლს, რომ გაგრძელება და დასრულება არჩევნებისა ამავე ეკლესიის შტატის მთავრის მოხდება პარასკევს, 30 ივნისს, ამა წლისა, საღამოს 6 საათზე თვით ეკლესიაში.
1—690—1

**ქართველთა სავარჯიშო საზოგადოება „ამირანი“**

იწვევს თავის წევრებს საერთო კრებაზე თბილისის ქართულ გიმნაზიის შენობაში, ხუთშაბათს, თიბათვის 29-ს დილის 10 საათზე.
იქვე ჩაიწერებიან ახალი წევრები.
4—745—3 ქართველთა სამხედრო კავშირი.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის

**X და XII უბნის კომიტეტი**

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ-დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. დუმბაძესთან და კლუბის ბუღალტერ კალატოზიშვილთან.
10—742—3

იბეჭდება და მალე გამოვა

**ტიტე მარგველაშვილის** წიგნი:

**„საშუალებანი ჩვენი ეკონომიური აღორძინებისათვის“**

2—უ—2

**ახალი კლუბის საზაფხულო შენობა**

ხუთშაბათს, თიბათვის 29 1917 წელს

**ქართველთ სამხედრო კავშირი**

გამართავს

**საღამოს და სეირნობას**

სცენაზედ—მოხსენება, წარმოდგენა, ცოცხალი სურათები, ხიმღერები და ცეკვა.
მონაწილეობენ—მომხსენებელი ი. გედევანიშვილი (თემა—„მუდმივი ჯარი და სახალხო მილიცია“), ქართული დრამის მსახიობნი, მ. კავსაძის ხორო, ლეკურის საუკეთესო ამსრულებელნი და სხვა. ბაღში მოწყობილი იქნება სხვა და სხვა გასართობები: პტი-შვო, ლატარეია და სხვა. დადგმული იქნება კიოსკები. ღია სცენაზედ გაიმართება დივერტისმენტი ვასო აბაშიძის მონაწილეობით. სეირნობის დროს დაუკრავს სიმფონიური ორკესტრი, დუდუკი და საზანდარი.
სეირნობის დასაწყისი საღამოს 7 საათზედ, ხოლო თვით საღამოსი 9 საათზედ. თეატრის ბილეთების ფასი 10 მ-დან 2 მ-დის. ბაღში შესასვლელი—1 მ.—50 კ., ჯარის კაცთათვის—შეღავათიან პირობებით.
სამხატვრო ნაწილს განაგებს შალვა დადიანი.
საღამოს გამგე კომისია. 6—743—6

კვირას, მკათათვის 9-ს დილის 10 საათზე, საკუთარს დარბაზში მოხდება

**წლიური კრება**

**თელავის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობისა.**

დღის წესრიგი:

1. მოხსენება სარევიზიო კომისიისა 1915 წლის ანგარიშის შესახებ.
2. 1916 წლის ანგარიში.
3. მოხსენება საბჭოსი 1916 წლის ანგარიშის შესახებ.
4. მოხსენება გამგეობისა სესხზე სარგებლის დადების შესახებ, 11-დან 10-მდი.
5. მოხსენება გამგეობისა ვადით შემოტანილ ფულზე სარგებლობის დაკლების შესახებ.
6. მოხსენება გამგეობისა გირავნობის ქვეშ სესხის გაცემის თაობაზე.
7. მოხსენება საბჭოსი რწმუნებულთა კრების შემოღების თაობაზე ნაცვლად წევრთა კრებისა.
8. „1916 წლის მოგების განაწილება და 1917 წლის ხარჯთაღრიცხვა“.
9. არჩევა გამგეობის ერთისა ნაცვლად გ. კაკვიძისა და საბჭოს წევრებისა ნაცვლად მ. ამონაშვილისა, მ. ხომიზურაშვილისა, ლ. კიმოთიძისა, ს. ყურაშიძისა, ვ. თუშიშვილისა და ნ. ორკოდაშვილისა, რომელთაც წელს სამსახურის ვადა შეუსრულდათ.

რომ კრება კანონიერი იყოს, საჭიროა არა ნაკლებ 250 ამხანაგის დასწრება.
2—749—2

საუკეთესო საწერი

**„მელანი“**

ალიზარინის ფერისა, დამზადდება და ვყიდი ბოთლს 10 მანეთათ.
1 ბოთლიდან გამოდის 10 გირვანქა მელანი, გირვანქა ჯდება 1 მანეთი. 2 გირვანქა სეროფია მოხარშული, წმინდა წყალი დაესხმება 8 გირვანქა და დაჰანჭყარდება, მეტი არაფერია საჭირო, მელანი საწერათ მზათ იქნება.
მისამართი ადრესი ქ. თელავი კ. ონიკაშვილი.
6—741—5

**ქართველთა სამხედრო კავშირისა**

მოუწოდებს ყველა ქართველ მეომარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხ. ექიმებს და მოხელეებს) ჩაეწერნენ აღნიშნულ კავშირში, რომლის მიზანია რუსეთის რევოლიუციის ხელის შეწყობა და საქართველოს ავტონომია. კომიტეტის ბინა მოთავსებულია ახალ კლუბის შენობაში (სახალხო ქუჩა). ცნობების მიღება შეიძლება „ჯარის კაცის“ რედაქციაში დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8-დე.
10—740—4 კომიტეტი ქ. ს. კ.

**განცხადება**

**ქ. გორში**

იჯარით გაიცემა გორის საკრებულო ტაძრის ოთხ ოთახიანი მაღაზია სარდაფით, რომელიც მდებარეობს ამავე ტაძრის ქუჩაზედ, საჯარო ვაჭრობით 1917 წლის მკათათვის 1-დან, ხუთის წლის ვადით. ვაჭრობა მოხდება ამა ტაძრის გალავანში, სამკლესიო სახლში, 1917 წ., თიბათვის 28, 12 საათზედ. ვაჭრობის გამეორება მესამე დღეს. მოვაჭრემ უნდა წარმოადგინოს ვაჭრობის დროს სავაჭრო ფულის მესამედი. ვაჭრობა დაიწყება

**ორმოცდა თექვსმეტ თუმან ნახევრიდგან (565 მან.)**

ვისაც ჰსურს საიჯარო პირობების შეტყობა, შეუძლიან მიმართოს ამავე საკრებულო ტაძრის წინამძღვარს, დეკანოზს მ. იოანე კაპანაძეს.
3—745—3

ექიმი

**მ. ი. ბახნაძე**

იღებს ხაუშვება და შინაგან სნეულებ ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ... ქ. № 4. (... 202 ...)

ექიმი

**მ. გ. ბეჟხაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორი ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკოვის ქუჩა, № 19.

ექიმი

**მ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. იმერლის პროს. № 86, მეორე სართული.

ექიმი

**ე. ღ. შალამბერიძე**

იღებს სამებით და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი

**მ. ფ. მგალობლიშვილი**

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

ექიმები

**გ. მ. მუხაძე**

იღებს საკურორტო ავადმყოფებს საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი კბილისა

**ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა;**

იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5–7 საათ. ... და ... ქუჩის კუთხე № 20.

... მედიცინისა ... მე

**კალანდარიშვილი**

... კორპუსის.
... ავადმყოფებს მიიღებს

**მანგლისში**

საკრედიტო კორპუსის ბანკში


**თბილისი, თიბათვის 29.**

## გლეხებმა მესაკუთრეობა ირჩიეს

გამართლდა ჩვენი მოლოდინი. ცხოვრებამ თავისი გაიტანა და ბუნების შვილებმა, მიწის მუშა გლეხებმა, არა თუ მარტო ქართველებმა, არამედ მაჰმადიანებმა და სომხებმაც თავიანთ საერთო გლეხთა ყრილობაზე, ამ თვის 25, ორი მესამედი ხმის უმეტესობით დაადგინეს, რომ მიწის მფლობელობის წესი აგებულ იქმნას მესაკუთრეობის პრინციპზე.

ეს მით უფრო საყურადღებო და საგულისხმოა, რომ ამიერ-კავკასიის უმეტეს ნაწილში,—ერევნის, განჯისა და ბაქოს გუბერნიებში გლეხები დღემდის მიწას ფლობენ სათემო წესით, სოფლობით მიწის დროთი-დრომდი დაყოფით სოფლის მეკომურთა შორის, ოჯახის წევრთა რიცხვის მიხედვით.

საქართველოში კი, უმნიშვნელო გამონაკლისს გარდა, ყოველგან ყველას, განურჩევლად წოდებისა, მიწა უჭირავთ მესაკუთრეობის უფლებით.

ამ დადგენილებით ქართველ გლეხებმა დაიცვეს მათ შორის არსებული წესი, რომელსაც ისინი დაბადებიდანვე შეზრდილან და რაც ჩვენში უხსოვარ დროიდან სუფევს.

ხოლო რამ მიაღებინა მესაკუთრეობის წესი მიწის მფლობელობისა სომხებს და მაჰმადიანებს?

ყრილობაზე გაგონილის გონივრულმა შესმენილობამ და ბუნებითმა ალღომ თავისი მნიშვნელობა იქონია ამ საქმეში, ალბათ, ძველი რეჟიმის გათახსირებულმა წყობილებამაც სათემო მფლობელობის წესი ხშირათ გადაქცეულა სათემო უსამართლობის წესათ. ხშირათ მიწის დაყოფის დროს ღარიბს მარტო ქაღალდზე აძლევდნენ მისს ხვედრს რაოდენობას მიწისას, ნამდვილად კი მედიატორეები, რომელთაც ენდობოდათ მიწის დაზომვა და დაყოფა, ღარიბს ხელში აჩეჩებდენ ხვედრზე ნაკლებ მიწას და მდიდარს კი, ქრთამით, იმაზე მეტს მიუზომავდენ, რაც ერგებოდათ და რასაც ქაღალდზე უწერდენ.

დაჩაგრულ-ღარიბთ საჩივარი ხშირათ უყურადღებოდ რჩებოდა. საფიქრებელია, რომ სხვა მიზეზთა შორის ესეც იყო მიზეზი, რომ სომხებმა და მაჰმადიანებმა მესაკუთრეობის წესი არჩიეს სათემო მფლობელობის წესს. ვინ არ მისცემს უპირატესობას ნამდვილ საკუთრებას სათემო საერთო მფლობელობაზე!

ჩვენი პარტია და გაზეთი იმ თავითვე იცავდა მესაკუთრეობის დედა აზრს, რაც უკმაყოფილებას იწვევდა სხვა და სხვა ფერის ხმის ამყოლ თეორეტიკოსებისას, და რაც ასე თვალდასანახავად გაამართლა ცხოვრებამ და მისმა სინამდვილემ.

## ომი და საქართველოს ვალი

საერთო ჭეშმარიტება ყოველთვის უბრალო და მარტივია.

ერთი ასეთი ჭეშმარიტება მკაფიოდ და ნათლად გამოსახა დიდებულმა გენიოსმა ნაპოლეონმა. მან სთქვა:

— ომის მოსაგებად საჭიროა სამი რამე: ჯერ ერთი—ფული, მეორე—ისევ ფული და მესამეც—ისევ და ისევ ფული.

რუსეთს ომის დასაწყისშივე გამოელია ფული, მაგრამ იგი აგერ სამი წელიწადია მაინც ომობს.

ომობს მოკავშირეთა ხარჯით, რომელნიც აძლევენ მას უთვალავ იარაღს, ათასნაირ საომარ მასალას და მის ღირებულებას ვალად აწერენ. ეს არის პირველი და უმთავრესი წყარო შემოსავლისა—ომის წარმოებისა.

მეორე წყარო გახლავთ—პირველზე გაცილებით უფრო სუსტი—შინაური სესხი, საკუთარი საწარმოვო ძალა, ე. ი. სახელმწიფოს ქონებრივი სიმდიდრე.

მესამე საომარი ძალა რუსეთისა, უკეთ რომ ვსთქვათ—მისი უძლურება, და სახელმწიფოს გაკოტრების ნამდვილი გზა—ქაღალდის ფულის დასაბეჭდი მანქანა გახლავთ. ამ გზით—დასაბეჭდი მანქანით—რუსეთის ხაზინამ ისე ხარბად ისარგებლა და ისე გაავსო ქვეყანა ქაღალდის ფულით, რომ ჩვენი მანეთი ამ ჟამად დაახლოვებით ერთი აბაზი ღირს. დღე არ გავა, რომ მისმა ფასმა არ იკლოს. ამავე დროს დღე არ გადის, რომ რუსეთში რამდენიმე ქარხანა არ დაიკეტოს.

რუსეთი სწრაფის მატარებლით მიექანება ფინანსიურ-ეკონომიურ გაკოტრებისკენ.

დღეს რუსეთის ვალი საშუალოდ 60 მილიარდს (60 ათას მილიონს) უდრის. ხარჯი დღითი-დღე მატულობს. სადამდის ავა დღიური საომარი ხარჯი, ან როდის გათავდება ომი—არავინ იცის, ამიტომ შეუძლებელია ნამდვილი ანგარიში რუსეთის ომის ხარჯისა და ვალისა. ამ საკითხის გარჩევის დროს ძალაუნებურად ყველას ერთგვარი თავისუფლება ეძლევა. მეც ასე ვიქცევი.

ომი რომ შემოდგომაზე გათავდეს, სულ ცოტა, 10 მილიარდი კიდევ დაიხარჯება. ამას უნდა მივუმატოთ ხარჯი ომის ლიკვიდაციისა—ესეც, სულ ცოტა, 10 მილიარდი. ამ რიგად, შემოდგომაზე რუსეთს, სულ ცოტა, 80 მილიარდი ვალი დააწვება.

მთელი რუსეთი შეებმება მონობის უსაშინელეს უღელში და გასწევს მას.

ეს უღელი საქართველოსაც დააწვება. ვიანგარიშოთ მისი წილი ამ უმაგალითო და უსასტიკეს მონობისა.

ცხრა მეათედი ამ ვალისა მოკლევადიანი ვალია; თუ რუსეთი როგორმე სამშვიდობოს გავიდა და მოკლევადიანი ვალი გრძელ ვადგიანად გადააკეთებინა მოვალეებს—საშუალოდ 20 წლით გასჭიმა—80 მილიარდი თავნი ვალი 20 წლის შემდეგ 5 პროც. სარგებლით 122 მილიარდად გადაიქცევა.

ომის შემდეგ რუსეთში საშუალოდ დარჩება 150—160 მილიონი მცხოვრები.

საქართველოს ტერიტორიაზე საშუალოდ იქნება 3 მილიონი.

ამ რიგად, მას წილად ერგება 2440 მილიონი, რომელიც მან 20 წელიწადში უნდა გადაიხადოს.

თითო სულზე მოდის 813 მანეთი, თითო კომლზე (5 სული)—4065 მანეთი.

საქართველოს წლიური გადასახადი ვალისა უდრის 122 მილიონს, თითო სულზე—41 მ., თითო ოჯახზე—205 მანეთი.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ამას ჩვეულებრივი წლიური ხარჯი უნდა მივუმატოთ.

პროფესორი ბოგოლეპოვი ირწმუნება, რომ ომის გათავების შემდეგ რუსეთის წლიური შემოსავალი და გასავალი 15 მილიარდზე ნაკლები არ იქნებაო. თუ ეს მართალია, საქართველოს წილი წლიურ ხარჯისა (გადასახადი) ასეთი იქნება:

მთელმა საქართველომ წელიწადში უნდა გადაიხადოს 300 მილიონი.

თითო სულმა 100 მანეთი.

თითო კომლმა 500 მანეთი.

არც რუსეთს და არც საქართველოს არასოდეს არ განუცდიათ ასეთი მონობა.

1914 წელს ვინმე სერბმა პრინციპმა ავსტრიის მემკვიდრე ყუმბარით ააფეთქა.

ეს იყო მთელი მსოფლიოს აფეთქება.

რამდენიმე ათას ვერსზე ეს ყუმბარა საქართველოსაც მოხვდა და ლამის განგმიროს იგი. სისხლით ვილევით, ოჯახიც დაგვექცევა, კერაც გვიცივდება.

ვისაც ყური აქვს სმენად და თვალი ხედვად—გაიგონოს და დაინახოს.

მ. ადამაშვილი.

# უკრაინის უნივერსალი

რევოლიუციის ერთ უსათუო დასკვნად უკრაინის ერის დიდებული მანიფესტაცია—უკრაინის ცენტრალ რადის უნივერსალი უნდა ჩაითვალოს. სხვა და სხვა გრძნობა გამოიწვია ამ შესანიშნავ მოვლენამ რუსეთში მოსახლე მრავალ-ფეროვან ხალხთა შორის: ზოგი მას აღფრთოვანებით მიეგება, ზოგი შეხვდა მტრულად, ბევრმა ამ აქტში სასიხარულო დასაწყისი ამოკითხა დაჩაგრულ ერთა განთავისუფლებისა, ბევრის იმედებს ფრთა შეუსხა გაერთიანებულ ერის პირველ ხარისხოვანმა ისტორიულ გამოსვლამ, ბევრს კი მყუდროება შეუშფოთა და დაარწმუნა, რომ ეს აქტი არის პირველი რეალ ძალებზე დამყარებული სეპარატიული დემონსტრაცია, რომლის მიზეზი რუსეთის სახელმწიფოს სხეულს დაფუშვას და დაქუცმაცებას უქადის! ნუ აჰყვებით ამ გვარ მოაზრეთ და დამსკვნელთ, სჯობს გავითვალისწინოთ ობიექტიურად მომხდარი ამბები და საგანს მოვუძებნოთ ის სახელი, რომელიც საქმის ვითარებას შეეფერება.

რუსეთის რევოლიუციას თან დაერთო ერთა თვითგამორკვევის პრინციპის გამოცხადება. სულის შემხუთველ თვითმპყრობელობის დამხობასთან ერთად სახელმწიფო უნდა განთავისუფლებულიყო აგრეთვე მართველობის ძველი მეთოდისაგან და ამიტომ ნამდვილ დემოკრატებმა, რომელთაც სახელი ესე არა რეკლამისათვის აქვთ მხოლოდ, არამედ იმ პოლიტიკის გასაძღოლად, რომელიც ერის უმრავლესობის სურვილებს სავსებით აკმაყოფილებს და გამომდინარეობს საღ პოლიტიკურ აზროვნებიდან, მასთანავე კატეგორიულად უარ ჰყვეს მართვა-გამგეობის უკიდურესი ცენტრალისტური მიდრეკილება და პოლიტიკურ ცხოვრების მორიგ საკითხად წამოაყენეს სხვა და სხვა ვარიაციებით საზოგადოთ ფედერატიული წყობილების საჭიროება. მაგრამ რუსის ხალხის ფსიქოლოგია ვერ შეურიგდა ამ მოვლენას, მას ეჭვი დაებადა დეცენტრალიზმის კანონიერებაში და სამართლიანობაში, ველიკოროსთა ხალხს მცირე ერთა გამოსვლა სახელმწიფოს მთლიანობის დალეწვის ლანდათ მოეჩვენა და მყისვე იცვალა პოზიცია. ჩვენ მოწმენი ვიყავით იმ ყოვლად შეუწყნარებელ მოვლენისა, რომლის გამართლება შეიძლება მხოლოდ დამხობილ რეჟიმის თვალსაზრისით და რომელიც გამოიხატებოდა რევოლიუციის პირველ დღეებშივე იმაში, რომ მცირე ერთა სამართლიან და ზომიერ მოთხოვნილებებს სასტიკი წინააღმდეგობა გამოეცხადათ. გამწვავება იქამდის მივიდა, რომ რედაქციებს წინადადება მიეცათ ეროვნულ საკითხზე წერილები მოესპოთ და საშინელი სიტყვა „ავტონომია", რომელიც ზოგიერთ პოლიტიკოსებზე იმ გვარ შთაბეჭდილებას ახდენს, როგორსაც წითელი ზეწარი მადრიდის ცირკში გაფთრებულ ბუღაზე, პოლიტიკურ ნომენკლატურიდან ამოეშალათ. თავის-თავად ცხადია, ამ უნდობლობამ ნიადაგი მოუმზადა ერთა ყრუ უკმაყოფილებას, გაბატონებულ ერის ყოფა-ქცევაში სამართლიანად ხედავდნენ მცირე ერთა უფლების უარყოფას და, მაშასადამე, ყველა ეს ჰბადებდა იმ აზრს, რომ საკუთარი ბედნიერების და კეთილდღეობის მჭედლად თვით ერი უნდა გამოსულიყო.

გამოცდილებამ დაგვანახვა ყველას, რომ ცარიელი, ძალას მოკლებული უფლებით ყოვლად შეუძლებელია სამართლიანობის, თუ სხვა ამგვარ პრინციპების დასაბუთება, რადგანაც უკანასკნელ შემთხვევაში საქმეს სწყვეტს ყოველთვის არა განყენებითი მოსაზრებანი და მეცნიერებაზე აგებული დებულებანი, არამედ ძალთა რეალი განწყობილება. ამას ჰმოწმობს ყოველი ფურცელი პოლიტიკურ ისტორიისა, ამაზე დამყარებულია კაცობრიობის წინ-სვლა და კულტურა, ესვეე, დარწმუნებული ვართ, დაედება სათავეში მომავალ სოციალ-პოლიტიკურ სტრუქტურას.

ყველასათვის გასაგებია, რომ უკრაინის ერის დიდებული გამოსვლა დაფუძნებულია არა მხოლოდ იმაზე, რომ მას აქვს საბუთი მოითხოვოს თავისუფლება, არამედ უმთავრესად იმაზე, რომ ამ ერს შეძლება აქვს რეალად, სინამდვილეში, განახორციელოს თვისი სულის-ძიება. უკრაინის ერი ვერ იქნება დარწმუნებული იმაში, რომ რუსეთის მომავალი დამფუძნებელი კრება ეროვნულ საკითხს მართლაც სამართლიანად გადასჭრის,—ყველა ეს დამოკიდებულია მის შემადგენლობაზე; ყოველს შემთხვევაში, საეჭვოა, რომ უცხო ერთ ჰქონდეთ სრული გარანტია თვისი იდეალების განხორციელებისა ამ კრების საშუალებით.

რა გამოაცხადა ისეთი უკრაინის ცენტრალ რადამ, რომ მან ასე ააღელვა რუსეთი და უპირველესად მისი მთავრობა? ჩამოჰშორდა უკრაინა რუსეთს, თუ აჯანყება გამოუცხადა მას? ჩვენის აზრით, უკრაინის ხალხმა გამოსთქვა ის, რასაც ყველა სხვა ერიც სისრულეში მოიყვანდა, თუ მდგომარეობა და შეძლება ხელს შეუწყობდა. აქ დასამალი არაფერია. მაგრამ პირუთვნელობა ნებას არ უნდა აძლევდეს მოწინააღმდეგეს რადას უნივერსალში გამოთიშვის ტენდენცია ამოიკითხოს. სრულიადაც არა: ცენტრალ რადამ გაბედულად სთქვა ის, რასაც მთელი რუსეთი—სიტყვით მაინც—აღიარებს, მან ერს თვით-გამორკვევის საძირკველი ჩაუყარა; ამ საძირკველზე მომავალმა წყობილებამ უნდა აღმართოს უკრაინის პოლიტიკურ ავტონომიის შეურყეველი კედლები. ეს აქტი, ჩვენის ღრმა რწმენით, უნდა იწვევდეს მხოლოდ და მხოლოდ თანაგრძნობას და არა იმ მტრობას და წინააღმდეგობას, რომელსაც მის მიმართ სხვა და სხვა მხრიდან იწვევენ. რასაკვირველია, არ წარმოადგენს სიმართლეს მთავრობის მტკიცება, ვითომც რადას დადგენილება რევოლუციის ძალთა დაქსაქსვას გამოიწვევს. თუ რევოლიუციონურმა რუსის ხალხმა უკრაინის უნივერსალში მონახა ეს მიდრეკილება, მაშინ ჩვენ სულ სხვა აზრისა ვიქნებით მათ რევოლიუციონერობაზე, მაშინ გამოაშკარავდება, რომ ხელმწიფობის მქონე ერს თავისუფლება და თანასწორობა მხოლოდ თავისათვის ესაჭიროება და მცირე ერნი-კი ისევ მის მძიმე უღლის ქვეშ უნდა კვნესოდნენ.

თუ რუსეთის კრება დამფუძნებელი უმოწყალებს მცირე ერთ „თვითგამორკვევას", მათ უნდა მიიღონ ეს საჩუქარი, მაგრამ უკეთუ თვით ერი საკუთარი თაოსნობით დაადგა ამავე თვითგამორკვევის გზას, ეს მიასწავებს რევოლიუციის ღალატს! ასე მოგვითხრობენ ბრძენი პოლიტიკოსები „ჯ.-კ. და მუშათა საბჭოს მოამბიდან" და „ერთობიდან". ჩვენ სრულიად არ გვეეჭვება ეს ბრძნული თქმა, ცენტრალისტური აზროვნებით გაჟღენთილი ადამიანები სწორედ ამგვარ უნდა მსჯელობდნენ, ველიკოროსთა ერის პრიმატის მაღიარებელნი და მქადაგებელნი ვერ შეურიგდებიან იმ აზრს, რომ სხვა ხალხსაც შეეძლოს თვის სვებედზე ზრუნვა საკუთარი ძალითა და ღონით.

ეროვნული საკითხის გარდაწყვეტა რუსეთის რევოლიუციის „აქილესის ქუსლს" წარმოადგენს. მსოფლიო ისტორიის სივრცეში ხალხთა უდიდესი აჯანყება ვერ მივიდა, სამწუხაროდ, ლოღიკურ დასკვნამდე და უმთავრეს და უპირველეს საკითხის გადაწყვეტაში სახიფათოდ წაიბორძიკა!

რ. ინგილო.

# სოციალიზმი საქართველოში*)

ამ დროს, როდესაც შეგნებული ნაწილი, იმერთა დაკუწულ ხალხისა, ხელთგულდაკრეფილი, იდგა საფლავებზე თავის დაფიწყებული, დამარხული დიდებისა, დღეს, უეცრად გაისმა ხმა სიმართლისა და თავისუფლებისა!

დაჰკრა საქართველომ ნაღარა, დაჰკივლა ვაშა ვაშა!.. მაგრამ მოისმის მეორე, ხმა: ჩვენ არა გვსურს თავისუფლება, არ ვეძებთ ავტონომიას, ხალხი ქვეყნიერობისა ყველა ერთია, ჩვენ გვინდა მხოლოდ მუშა ხალხს მიეცეს სიკეთე—შეღავათი. ამისათვის საჭიროა მამულები ჩამოერთვას მებატონეებს და დაურიგდეს მიწათ მუშებს. ძირს წოდება და მიწათ-პატრონობა და სხ...

აგრე,—სოფლურ ანგარიშზე ჩამოქვეითდა ბრწყინვალე მზე ერის განთავისუფლებისა, გამოცოცხლებისა!!.

კაი და კეთილი, მაგრამ, ეს ხომ მაინც სოციალიზმი არ იქნება? ეს იქნება ტყვილა წართმევა საკუთრებისა. გნებავთ დავამშვენოთ უფრო განათლებული ტერმინით, დაერქმევა: „ექსპროპრიაცია", მაგრამ მაინც ეს არ ივარგებს!..

ყოველი სინიდისიერი საზოგადოება, რომელსაც თავის ქვეყანა უყვარს, თავის ქვეყნის ხალხიც იყვარება, ერთი უმეოროდ არ შეიძლება! და ამისთვის უეჭველია იმ აზრის იმ რწმენის იქნებიან ყველანი, გარდა ერთიორი მახინჯისა, რომ ხალხი უსათუოდ უზრუნველ ჰყოს, სიღარიბეს და გაჭირვებას არ განიცდიდეს! ამისათვის უსათუოდ საჭიროა რომ სახელმწიფომ, მიწათმფლობელს, მიწის მუშისათვის, იმდენი მიწა დაათმობიოს, რამდენიც მისთვის საჭიროა უდარიბოთ ცხოვრებისათვის. ე. ი. 1) ყოველი გლეხკაცის ოჯახს უნდა ჰქონდეს საკუთრებათ არანაკლებ 20—25 დღიურისა; 2) სამუშაო პირუტყვი; 3) სახლ კარი, სუფთად და მაგრად ნაშენი; 4) ოჯახის სამკაული ყოველი; ორი, ან სამი მეწველი ძროხა, ცხენი და ღორი.

ჩვენ გვგონია ეს იქნება, ჯერ-ჯერობით სამართლიანი გადაწყვეტა ამ საკითხისა. ხოლო მამულებისა მთლიანათ ჩამორთმევა, — კონფისკაცია,— შეუძლებელ აქტად უნდა აღვიაროთ, შემდეგის ორის მიზეზის გამო: პირველი ისა, რომ ყოველს გარეშე რესპუბლიკებშიაც არსებობენ მიწათ მესაკუთრეები, და წართმევა, აღსარებულია განათლებულ ქვეყნებში, როგორც შეუწყნარებელი აქტი.

მეორე მიზეზიც ეს გახლავთ, რომ თუ კი კონფისკაციის პრინციპს მიუშვებთ, რატომ ფაბრიკებს, დიდს ქარხნებს არ ჩამოვართმევთ პატრონებს, რათა გადაეცეს იმ მუშა ხალხს, რომელიც დღე და ღამ, ოფლსა და ცრემლის ღვრით აწარმოებს იმ ქარხნებს და, ნაწარმოები კი, აუარებელი ოქრო ელაგება უბეში პატრონს, ყოვლად უსასჯელოთ?

ჩვენის აზრით ეს საკითხი ათჯერ უფრო მწვავეა, ვინემ მიწათ-უფლება. ქალაქისა და ქარხნის მუშას არ შეუძლია ერთი დღეც გაუშვას უმუშაოდ; შიმშილი მოადგება კარზე. მუშები 8 საათის შრომის უფლებას თხოულობენ და ამაზედაც ევაჭრებიან პატრონნი და არა რცხვენიათ! საკვირველი ისაა, რომ ყოველი ქვეყნის მთავრობა ეხმარება უფრო ხშირად პატრონებს. მუშებმა თუ გაიფიცეს, მთავრობა აიძულებს, ძალას ატანს, რომ დაადგეს სამუშაოს. მიწის მუშას კი, გლეხკაცს, ასეთი სასტიკი ვინაობა მაინც არ ადგია.— მაშასადამე, პირველ თავში, ზნეობრივი მოვალეობა მოითხოვს, რომ ქარხნებისა და დღიურ მუშების საქმე გასწორდეს უწინარეს ყოვლისა. ამის რეცეპტიც გამოიკვლევა, უეჭველია, ოღონდ ყოველ საქმეში საჭირო არიან კაცები, რომელნიც მიუდგომლად განიხილავენ საკითხს. ახლა არსდება კიდეც ქარხნებში მუშათა კომიტეტები და ვნახავთ როგორ წაიყვანენ საქმეებს. ერთი, ძირითად მძიმე ტვირთი აუღიათ მუშების მეთაურებს; ეს გახლავთ მარქსის მრწამსი. დიდათ მეცნიერს ეკონომისტს, ვითარცა კაბინეტის კაცს, ვერ წარმოუდგენია, რომ სანამ „პროლეტარნი მთელის ქვეყნისა შეერთდებოდდნენ", უმაღლესი ხარისხის მოწოდებამ, მოვალეობამ სამშობლოისამ დამონებისაგან გამოიყვანა რვა მილიონი იგივე პროლეტარიატი, ხიშტებით ერთი მეორეზე.

პროლეტართა მესვეურნი ეგებ, გაიგებენ, აწი მაინც, რომ თეორიით ცხოვრება უნიადაგო ოცნებად ხდება.

ერთი რამ რწმუნება, რომელიც გამეფდა მთელ მსოფლიოში, უშლის კიდეც მუშათა საკითხს დაწესიერებას. ეს არის მრეწველობის ფსიხოზი. ასე ჰგონიათ, თუ კომერცია, მრეწველობა შემცირდა, ქვეყანა დაიღუპება.

მართალია, იყო ისეთი დრო, როდესაც ინდუსტრიის გაფართოვება ძლიერ ხელს უწყობდა ცივილიზაციას; მაგრამ მას მერე, ამ ნაწილმა შემოქმედებისამ ერთობ კანონმდებელი უფლებანი მიითვისა! ერთის მხრით, მსოფლიო პოლიტიკა მან დაიმორჩილა და მეორესი კი, მილიონები მუშა ხალხი ჩაუგდია რკინის ტოტში, გადაუქცევია ყმად, ისე, რომ სულის მოთქმა არა აქვს!..

მიუხედავად ამისა, სოფლის ხალხი კიდევ სტოვებს თავის მიწა წყალს და გარბის ქალაქებში სამუშაოდ. ს.-დ. ბის თეორიით ეს კარგი ნიშანია, ვინაიდან ემატება პროლეტარიის ლაშქარს, რომელმაც შემდეგში ქვეყნის დიდება იერიშით უნდა აიღოს!"

ზემოთაც ვსთქვით, რომ ეს არის განყენებული თეორია, რომლის ალსრულებას იმდენი სხვა და სხვა ეკონომიური ხლართი უღობავს გზას, რომ მანამდის მთელის ქვეყნის კაცობრიობას შეიძლება მოშივდეს, რადგანაც მრეწველნი მიწისა, საზრდოს პურის გაჩენნი,—მცირდებიან და მჭამელებს კი ემატებათ. მაგალ. ინგლისში, მცხოვრებთაგან, 75% ქალაქის მცხოვრებია. ამათში მუშებიცა და სხვა და სხვა ხელობის პროფესიისანი. ასე რომ 25 კაცი, საზრდოს აძლევს 100 კაცს. ეს რიგი %: გერმანიაში 60, საფრანგეთში 55 და სხვ.

ასეთი ეკონომიური შეცვლა სულ თანდათან ვითარდება და ახლა, ჩვენ დროშიაც იქამდის არის მისული, რომ დასავლეთის ევროპას თავისი მოსავალი ხორბალი ვერ ასაზრდოებს და გააქვთ მრავალი მილ. ფუთი რუსეთიდან და ამერიკიდან. ხოლო ეს ქვეყნებიც უნებლიეთად მიჰყვებიან ამ ზემოხსენებული ევოლიუციის პროცესს და, ხომ შესაძლებელია მივაღწიოთ იქამდის, რომ საყიდელი პურიც აღარ იქნება არსად საკმარისად? მაშინ რაღა? წარმოვიდგინოთ, რომ მაშინ დადგება ის ხანა, როცა მუშა ხალხი დაისაკუთრებს სხვა კლასებისა სიმდიდრეს! მაშინ, სულ უბრძოლველადაც პატრონნი მიაწოდებენ ოქრო-ვერცხლს ვისაც ნებავს, ვინაიდან ამათ ფასი ექნებათ დაკარგული, ოქრო ვის რად უნდათ, თუ პურს ვერ იყიდიან?

რა თქმა უნდა, მე მოგახსენებთ მხოლოდ იმ უკიდურესს მოფიქრებას, რომელიც შეუძლებელი არ არის მოევლინოს ქვეყანას. ესეც ჯერ არს გავითვალისწინოთ, რომ ეს პროცესი ვითარდება ხელ-გაყრილათ ერთად პროლეტარიის ზრდა-გამრავლებასთან.

აი, ეს გახლავთ ის მწვავე, ურთიერთ კაცთა შორის გაუგებრობა-მტრობა, რომელიც გარეშე ქვეყნებიდან მიბაძვით ჩამოლაგდა ჩვენშიდაც. ჩვენ დაგვიდგია ღმერთ-კაცისა მცნება, რომელიც გვასწავლიდა ნამდვილ ძმობას, ერთობას და სიყვარულს. ეს იყო გზა იმ სოციალიზმისა, რომელიც მოპოვებული იქნებოდა თვინიერებითა და სათნოებით. განვაგდეთ ეს მცნება და შევუდექით იმ გზას, რომელსაც ვამართლებთ ვითომ მეცნიერული აფორიზმით „ბრძოლა არსებობისათვის". ეს არის თვისება პრიმიტიული კაცობრიობისა, რომელიც უნდა დასუსტდეს, შესდგეს და კიდეც გაჰქრეს. მაშინ იქნება გამარჯვება ცივილიზაციისა, რომლის დანიშნულებაც თავათ ის გახლავთ, რომ ბრძოლა შეიცვალოს შეგნებად და სათნოებად.

განდევნილი უნდა იქნეს ყოველი წრიდან, ყოველი მიმართულებიდან, Quodes quem devoret*), ვითარცა აგაზაკური თვისება გონებისა.

გ. შარგაშიძე.

*) იხ. „საქართველოს" №.

*) რომელი რომელს შესჭამს.

# ომი და ზავი

## დეპეშები

### მთავარ ბანაკის ცნობა.

**პეტროგრადი** თიბათვის 27. **დასავლეთის ფრონტი.** ბერზეჟანის სამხრეთით ძლიერი საარტილერიო სროლაა. დოლინის მიმართულებით თიბათვის 26-ს კორნილოვის ჯარი იერიშებს ისევ აწარმოებდა. ავსტრო-გერმანელები ენერგიულათ გვეწინააღმდეგებოდნენ და კონტრიერიშები მოჰქონდათ. უფრო ძლიერი ბრძოლა იყო გალიჩისაკენ მიმავალ გზებზე, სოფლების გუცისკის, პაციკალის და პაველჩიეს რაიონებში. პაველჩიეს ქუჩებზე ხელჩართული ბრძოლა იყო. აქ მტერი დამარცხდა. საღამოთი ჩვენმა ჯარმა მდ. ლუკოვიცას მიაღწია და დაიპყრო სოფლები ვიქტორალი, გუცისკა და პაციკული. მტერი მდინარე ლომნიცისკენ იხევს. თიბათვის 26 ს, ტყვეთ წამოვიყვანეთ 1000 ავსტრიელი და გერმანელი, 3 ზარბაზანი, მრავალი ტყვიისმფრქვეველი დიდძალი საინჟინერო საქონელი და სურსათი. ჩვენი ჯარის გუნება და საქციელი ქებას აღემატება. ოფიცრები ყველგან წინ მიდიან. ამ რიგად, ორი დღის ბრძოლის შემდეგ ჩვენ გავარღვიეთ მტრის ფრონტი სტანისლავოვის დასავლეთით სიგრძით 29 ვერსზე და წინ კი 4—10 ვერსზე. ფრონტის დანარჩენ ადგილებზე სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

**რუმინეთის და კავკასიის ფრონტი.** ცვლილება არა მომხდარა რა.

### საფრანგეთის ბანაკის ცნობა

**პარიზი.** თიბათვის 25. **ოფიციალი.** წუხელ ფილენის სამხრეთ რაიონში საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. გერმანელებმა პანტეონის პირდაპირ დიდი იერიში მოიტანეს, მაგრამ მოვიგერიეთ. ლებრეტისა და ეგინდეშევრენის შუა ჩვენმა ჯარმა მთის კალთებზე დაბანაკებულ ჯარზე იერიში მიიტანა. გუშინ პანტეონისა და ფრაუდმონის ფერმის შუა მტერთან დიდი შეტაკება მოგვიხდა. ბრძოლაში სამი დივიზია მონაწილეობდა. შეტაკებაში 12 ბატალიონი იღებდა მონაწილეობას. როგორც ტყვეებიც ჰმოწმობენ ქების ღირსს ჩვენ ჯარს გერმანელებისათვის დიდი ზარალი მიუყენებია. შამპანში, სენტ-ილერა-სენტ-უგლეს გზის მახლობლად მტრის მოულოდნელი თავდასხმა ავიცდინეთ. მაასის მარცხენა მხარეზე მტრის შემოტევამ ზიანი ვერ მოგვაყენა. გარრიეს ტყეში პატრულებს შეტაკება მოუხდათ. ჩვენ რამდენიმე ტყვე ჩავიგდეთ ხელში.

**პარიზი.** თიბათვის 24. **ოფიციალი.** სერნი-ეილის რაიონში, მორტომის უბანში სიმაღლე „30"-ს ჩვენმა არტილერიამ დიდი მოქმედება გამოიჩინა. მტერმა რამდენიმე ალაგას შემოტევა სცადა, მაგრამ მარჯვედ მოვიგერიეთ.

**მფრინავთა მოქმედება.** მტრის ჰაეროპლანებმა ეპერნის ჰოსპიტალს ყუმბარები დაუშინეს. მოკლულია 3, მათ შორის ერთი ბავშვი და დაჭრილია 4.

თიბათვის 22 ღამით, ჩვენი 84 მფრინავი მტრის რამდენიმე ქალაქს თავს დაეცა. ღამის 10 საათზე ჩვენმა 10 ჰაეროპლანმა ქ. ტრირში 26500 კილოგრამი ყუმბარა ჩაჰყარა. ქალაქში 7 ალაგას გაჩნდა ცეცხლი, ერთი ცენტრალ სადგურზე. 6 სხვა ჰაეროპლანმა ქ. ლუდვიგსჰაფენს დაუშინეს ყუმბარები. ერთ ჩვენ ჰაეროპლანთაგანმა, რომელსაც გალუა უფროსობდა, ესსენამდის მიაღწია და კრუპპის ქარხანას ასაფეთქებელი ნივთიერება დააყარა. ყუმბარებს უშენდნენ აგრეთვე კობლენცის მახლობლად სამხედრო შენობებს, გრისსონის რკინის გზის სადგურს, ფილსბურგის დასავლეთით რკინის გზას და ტრიონვილეს სადგურს. რამდენჯერმე მტრის ასპარეზზედაც შეეცადნენ თავდასხმას. დენის სადგურზე (მდინ. მასსაზე) ცეცხლი გაჩნდა. მანტევილლეში საბრძოლო მასალების ქარხანა აფეთქდა.

### ინგლისის ბანაკის ცნობა.

**ლონდონი.** თიბათვის 26. **ოფიციალი.** ანჟიკურის სამხრეთ-აღმოსავლეთით წუხელ ჩვენები მტერს თავს დაესხნენ. 35 ტყვე წამოიყვანეს; მათში ერთი ოფიცერი. დილით ლოოსის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტრის თავდასხმა ავიცილეთ.

### კორნილოვის ბრძანება ლაშქრისადმი

**პეტროგრადი.** თიბათვის 26. მე-8-ე ლაშქრის მთავარსარდალმა კორნილოვმა თავის ჯარს უბრძანა: „სამშობლოს ბედიღბალს მხოლოდ თქვენი ხიშტები გადასწყვეტენ. თქვენ ხელთ არის რუსეთის ბედი და უმაგალითო ომის კეთილად დაგვირგვინება. ხსნას ყველა თქვენგან მოელის. მაშ წინ! თქვენ თავისუფალ რუსეთის რევოლუციონური მებრძოლნი ხართ. ნუ შედრკებით. უკან ნუ დაიხევთ. სისხლით დაფერილ დროშებს ახალი ქება შეჰმატეთ. მე დღეიდან მრწამს, რომ რუსეთის ბედი იმ მებრძოლ არწივთა ხელშია, რომელთაც ერთი მიზანი აღფრთოვანებთ.

### გერმანელ-ავსტრიელების პრესა კერენსკის შესახებ

**სტოკჰოლმი.** თიბათვის 23. ავსტრია-გერმანეთის პრესა დიდის გულისწყრომით ჰკიცხავს დროებით მთავრობასა და კერენსკის. იგი ამტკიცებს, რომ ცენტრალ იმპერიებს, დღიდან რევოლუციის დაწყობისა, შეტევა არ განუზრახავთ. რუსის ჯარის ეხლანდელ შეტევას მხოლოდ რუსების არაკეთილშობილობას მიაწერენ გაზეთები სინანულს გამოსთქვამენ იმის შესახებ, რომ რევოლუცია რუსის ერს უგულოდ ეპყრობა.

### ვილჰელმის სამხედრო თათბირი

**სტოკჰოლმი.** თიბათვის 25. ბერლინიდან იუწყებიან, ჰინდენბურგი და ლოდენდორფი მოვიდნენ ბერლინს და სამხედრო მოქმედების შესახებ იმპერატორს მოხსენება წარუდგინეს. ვილჰელმიც ბერლინში მოვიდა და კარგა ხანს ეთათბირა კანცლერს.

### ვოლგაზე

**ვოლგი.** თიბათვის 26. ვოლგაზე მოსიარულე გემები მგზავრებით არის სავსე. ხშირად ხდება მგზავრთა და ჯარის კაცთა შორის გაუგებრობით და უწესოებით გამოწვეული უთანხმოებანი. დიდი რამ ექსცესები არა ყოფილა. საერთოდ სიწყნარეა. ვოლგაზე სიცხემ 40 გრ. აღწია.

# საფრანგეთის კრიზისი

**პარიზი.** თიბათვის 24. დეპუტატთა პალატა. მცირე დასვენების შემდეგ სხდომა განახლდა. სოციალისტმა რენოდელმა მთავრობას მოსთხოვა განმარტებანი ფარულ პროპაგანდის შესახებ. ამას გარდა რენოდელი შეეკითხა გარეშე საქმეთა მინისტრს რიბოს, სთვლიდა თუ არა ის სასახელოდ შეედგინა უილსონთან ერთად ეროვნებათა საზოგადოება. ამ შეკითხვაზე რიბომ უპასუხა „ვსთვლიდიო". შინაგან საქმეთა მინისტრმა მალვიმ განაცხადა, თუმცა ამ ბოლო დროში გაფიცვები საფრანგეთში ხშირი მოვლენა იყო, მაგრამ სიფუძკლად ყველა გაფიცვას ეკონომიური მიზეზები ედოვო. ამ ქამად კი დამქირავებელთა და მუშებს შორის შეთანხმება ჩამოვარდაო. სოციალისტურ პროპაგანდის შესახებ მინისტრმა განაცხადა, რომ პროპაგანდა აიკრძალა იმ მოსაზრებით, რომ ჯარში ერთაზროვნობა არ დაირღვეულიყოვო. ამის შემდეგ დიდი სიტყვა სთქვა გარეშე საქმეთა მინისტრმა რიბომ.—ჩვენ გვითითებდნენ ჩადენილ შეცდომებს და გვეკითხებოდნენ რანაირი ზომები მიგვიღიათო, მაგრამ აქ უნდა გამოვაცხადოთ, რომ ამ შემთხვევაში აქ უნდა გამოვიტანოთ განაჩენები, მაგრამ სამართალი ყველასათვის თანასწორი უნდა იყოს". ამის შემდეგ რიბო ურჩევდა პალატას ზომების მიღებას, რათა ჯარისკაცებს მძიმე ტვირთი შეუმსუბუქდეს და მათ გასაჭირს ცოტათოდნად მაინც ბოლო მოეღოს, სამი წელია, რაც საფრანგეთი საშინელ ომს აწარმოებს და ეხლა დადგა ჟამი, რომ ომის ტვირთი ყველამ თანასწორად გაინაწილოთო. პოლიტიკა რომელსაც ამ სამი წლის განმავლობაში საფრანგეთი ახორციელებდა იყო ერთობის პოლიტიკა, რომლის წყალობითაც ჩვენ სოციალური ზავით უზრუნველყოფილი ვართ. გერმანეთი დაშლის წინ სდგას და ამიტომ ის იძულებულია ზავი ეძიოს. შემდეგ რიბო საბერძნეთის მდგომარეობას შეეხო და განაცხადა რომ დიდი გაბედულება და სიმტკიცე დაგვეჭირდა, რომ ამ ქვეყანაში ერთობა აღვედგინაო. შემდეგ რიბომ ითხოვა, რომ პალატას ნდობა გამოეცხადებინა მთავრობისათვის. უმრავლესობით პალატამ ნდობა გამოუცხადა.

# რევოლუცია

## დეპეშები

**ქ. მოსკოვის საბჭოს არჩევნები.**

**მოსკოვი.** თიბათვის 26. დილიდან დაწყობილი ქალაქის საბჭოს არჩევნები სწარმოებს. პირველი ადგილი სოციალ დემოკრატებს უჭირავთ, მეორე—ხალხის თავისუფლების პარტიას.

**კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ.**

**კიევი.** თიბათვის 25. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა შეერთებულ სხდომაზე ის აზრი გამოითქვა, რომ სურსათ სანოვაგის საქმეთა მოუწესრიგებლობის გამო, კიევში ფარული საკონტრრევოლუციო აგიტაცია სწარმოებსო. საბჭო მოუწოდებს მცხოვრებთ კონტრ-რევოლუციონური აზრების გავრცელებასთან საბრძოლველად.

**წერეთელი უკრაინაში.**

**პეტროგრადი.** თიბათვის 26-ს, ბანაკიდან გავიდნენ გარეშე საქმეთა მინისტრი ტერეშჩენკო გზათა, მინისტრი ნეკრასოვი, ფოსტა-ტელეგრაფის—წერეთელი. ბანაკიდან მინისტრები ინახულებენ კიევს რათა ადგილობრივ ყოველმხრივ გამოარკვიონ უკრაინის საკითხი.

**თავისუფლების სესხი.**

**პეტროგრადი.** თიბათვის 26. ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო კანცელარიის ცნობით თავისუფლების სესხზე ხელის მოწერამ—ყველა საკრედიტო დაწესებულებებში—1.852.000.000 მან. მიაღწია.

**თავნებობის აღკრძალვა.**

**პეტროგრადი.** თიბათვის 26. შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკანონოდ სცნო ადგილობრივ ორგანიზაციათა თვითნებობით მოქმედება. დამნაშავენი სასამართლოს გადაეცემა.

**ცხენების მომშენებელთა ყრილობა.**

**მოსკოვი.** სრულიად რუსეთის ცხენების მომშენებელთა ყრილობამ სახელმწიფო სათათბიროს წევრის დმიტრიუკოვის თავმჯდომარეობით დაადგინა მიღებულ იქმნას ყოველი ზომები კულტურულ მეურნეობის უზრუნველსაყოფელად. მოწვეულ იქმნას მოსკოვის საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე მოსკოვის მ. და. ჯ.-კ. დეპ. საბჭოს წარმომადგენლები. ყრილობა 6 დღეს გაგრძელდება. მინისტრთა საბჭოს ტელეგრამა გაუგზავნეს. ყრილობას ღრმად სწამს, რომ დროებითი მთავრობა ეცდება ყოველმხრივ ხელი შეუწყოს ჩოდრობის საქმეს, რომელსაც დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ეძლევა.

**ფინეთის სეიმი ვალუტის საკითხზე.**

**ჰელსინგფორსი.** თიბათვის 26. ადგილობრივ საზღვაო-სამხედრო ორგანიზაციის და ფინეთის სეიმის საფინანსო კომისიის სხდომა ვალუტის საკითხის შესახებ ვერ მოხდა, რადგანაც ლაშქრის, ფლოტის და მუშათა დეპუტატების საბჭო ამ ჟამად არჩევს საზღვაო-სამხედრო მინისტრის ბ. ძანებას ვალიუტის შეჩერების გამო. ვალიუტის შესახებ ყრილობა აუცილებლად ხვალე შესდგება. ამ დროისთვის დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი სეიმის ფინანსურ კომისიის მიერ წერილობით ელოდება მის სიტყვიერ წინადადებას. კომიტეტს პრინციპიალურად საწინააღმდეგო არა ჰქონდა რა იმის შესახებ, რომ მას ეკისრა ფლოტისა და არმიის, თვითეულისათვის საჭირო სამუშაო ხელფასის დასარიგებლად, ფინეთის ვალიუტის მიცემა. ფილიანდელებმა რუსის ფულის მიმდინარე კურსით მათ ვალიუტაზე ყოველ თვიურად გაცვლის სურვილი გამოთქვეს. ეს საშუალება კომიტეტმა რუსეთის ხაზინისათვის მეტად მავნებლად იცნო. მისი აზრით ეს საშუალება რუსის მანეთის კურსის დაცემას ხელს უფრო შეუწყობს. ამიტომ კომიტეტი მოითხოვს, რომ სესხის სახით მას ერთდროულად განსაზღვრული ჯამი, მაგალითად 200 მილიონი მიეცეს.

**სამეურნეოაპალო კრედიტის სახელმწიფო ბანკებად ქცევა.**

**პეტროგრადი.** თიბათვის 26. საფინანსო სამინისტრომ მიიღო პროექტი—ქალაქის და საერობო კრედიტის საერთო სახელმწიფო ბანკად გარდაქმნის შესახებ. ძირითადი კაპიტალის 30 მილიონი მან. შეადგენს, ობლიგაციებს მთავრობის გარანტია მიენიჭება. ბანკის სათავეში ჩადგება კოლეგიალი ორგანო, რომლის ნახევარს ამოირჩევს მთავრობა, ხოლო დანარჩენს ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოები. ხელისმომწერთა შორის უკანასკნელდღეებში ჩაეწერა ყოფილი დიდი მთავარი სერგი ნიკოლოზის ძე. ხელს აწერს 514.650 მანეთზედ.

**სასურსათო საკითხი ჰელსინგფორსში.**

**ჰელსინგფორსი.** თიბათვის 27. მეტად გამწვავდა სასურსათო საკითხი. ამის გამო ჰელსინგფორსის სასურსათო კომისიამ ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტს თხოვნით მიმართა. იგი სთხოვს რომ რუს ოჯახებს პურის მიწვდა მათ აღმასრულებელ კომიტეტს დაევალოს. ამ საკითხის გადასაწყვეტად აღმასრულებელ კომიტეტმა საგანგებო სექცია დაარსა. მიწად-მოქმედების მინისტრის წინაშე ჰელსინგფორსის რაიონს პურის მიწვდის შესახებ შუამდგომლობაა აღძრული. ქალაქის სასურსათო კომისია საქმის გამოკვლევამდის, რუსებს პურის ბარათებს დაუბრკოლებლივ მიაწვდის.

## მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა ყრილობა

**მიწის საკითხი**

ჩერნოვი თანახმაა იმ რეზოლიუციისა, რომელშიაც შემდეგი მთავარი მუხლებია: 1) მიწა, ტყე და წყალი უნდა განთავისუფლებული იყოს სავაჭრო მრეწველობის აღებმიცემობისაგან. 2) მთავარი უფლება მიწის შესახებ მთელს ერს უნდა ეკუთვნოდეს. იგი მიწას დემოკრატიულ ორგანოების თვითმართველობით უნდა განაგებდეს. 3) მშრომელი მცხოვრებლები მიწის სარგებლობაში უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ. 4) როგორც ინდივიდუალურ ისე კოლლექტიურ მიწის მოსარგებლეთა უფლებების გარანტიას სპეციალი იურიდიული ნორმები უნდა იძლეოდნენ. 5) ადგილობრივ ვადის ნორმები თუ მიწის სარგებლობის პირობები ხალხის თვითმართველობის ორგანოებში უნდა მუშავდებოდეს. 6) ერთ მოსარგებლესგან მეორის ხელში მიწის გადაცემას ადგილობრივი სპეციალური ორგანოები უნდა აწარმოებდნენ. 7) სხვა და სხვა ალაგას მიწის სარგებლობისათვის მისაღები დროებითი ღონისძიებები სპეციალურ კანონმდებლობით უნდა მტკიცდებოდნენ. ბოლშევიკების წარმომადგენლმა განაცხადა, რომ ბოლშევიკები რეზოლიუციის ზოგიერთ ტეზისებს იზიარებენ. ისინი წინააღმდეგნი არიან მხოლოდ იმ ტეზისებისა, რომელნიც ნამდვილ ღონისძიებებს არა ჰხატვენ. საგრარო საკითხი უნდა ძირიანად გადაწყდეს, ამიტომ მიწაზე კერძო საკუთრების პრინციპის მოსპობაა საჭირო. ბოლშევიკებმა საკუთარი რეზოლიუცია შეიტანეს. ყრილობამ ბოლშევიკების რეზოლიუცია უარჰყო და ჩერნოვის რეზოლიუცია მიიღო. რეზოლიუციაში ცოტა შესწორება შეიტანეს: ის მიწები, წყლები და ტყეები, რომელთაც საერთო სახელმწიფო მნიშვნელობა აქვთ, დემოკრატიულ სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოთა განგებაში უნდა იმყოფებოდნენ. მაღალ საფეხურზე მდგომ მეურნეობას კი ადგილობრივი ორგანოები უნდა განაგებდნენ.

**პეტროგრადი.** თიბათვის 24. (დაგვიანებულია) უკანასკნელ სხდომაზე საბჭომ რამდენიმე რეზოლიუცია მიიღო. პირველი რეზოლიუცია სამხედრო სექციის ორმოც წლიანების შესახებ მოხსენების გამო მიიღეს. ამ რეზოლიუციით, სამხედრო მინისტრის ბრძანება 40—43 წლიანების სახლში დათხოვნის შესახებ დაუყონებლივ უნდა იქმნას აღსრულებული. ჯარის კაცთა ოჯახების მატერიალურ მდგომარეობის შესახებ მიღებულ რეზოლიუციით, სურსათ-სანოვაგე ყველა მოქალაქეთა შორის თანასწორ უნდა იქმნას განაწილებული. საჭიროა აგრეთვე ჯარის კაცთა წილის (პაიკის) ახალ დებულების ცხოვრებაში გატარება. წილი უნდა სანოვაგის საშუალო ფასების მ ხედვით შესდგეს; მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ თვითეულ ჯარში გაწვეულ პირს ყოველ თვიურად სჭირდება 60 გირვანქა ჭვავის ფქვილი, 12 გირ. ხორბალი, 8 გირ. კრუპა, 1 გ. შაქარი $_2/^3$ გირ. ქონი (?). $^1/_8$ გირ. ჩაი, 2 გირ. მარილი, წილის გარდა სახლის ქირა სოფელში 50 კაპ., ქალაქებში 1 მანეთი, დიდ ქალაქებში 2 მ. თვიურად. სამოქალაქო წესით შეუღლებულთა ოჯახების საწილო უფლებების შესახებ კანონი უნდა გამოქვეყნდეს. წილებით ოფიცერთა ოჯახებიც უნდა სარგებლობდენ, ამასთან სახლის ქირის და მოსამსახურეების ფული უნდა მოესპოთ. დეზერტირების ოჯახებს წილები ესპობათ. ასეთივე პირობებში იქნებიან პირველ მარტიდან თავიანთ ნებით ტყვედ წასულთა ოჯახებიც. ფრონტის ქვეითა ჯარის როტების მდგომარეობის განხილვის შემდეგ ყრილობამ დაადგინა, რომ მომქმედ ჯარის სათადარიგო პოლკების შესავსებად ამის გამო სამხედრო მინისტრის ბრძანებას დაუყონებლივ უნდა ასრულებდეს. პეტროგრადისა და მოსკოვის სათადარიგო ჯარის ნაწილებიც მინისტრის ბრძანებას უნდა დაემორჩილნენ. მეტად საჭიროა სათადარიგო როტებში ქვეითა ჯარის დროულად მომზადება და მათი ფრონტზე გაგზავნა. დაუყონებლივ საჭიროა აგრეთვე სატეხნიკო ნაწილებით და საშუალებებით შევსება. მათი ზურგში შეჩერება დანაშაულად ჩაითვლება.

სამხედრო სასწავლებლების და სკოლების ყველა ოფიცრები დაუყოვნებლივ მოქმედ ჯარის ნაწილებში უნდა დაიგზავნონ. სათადარიგო პოლკების სამსახურიდან უვარგისობის გამო დათხოვნილი ოფიცრები უნდა აღდგენდნენ; საჭიროა აგრეთვე მეტად მალე ცხენების შოვნა. მომქმედ პოლკების და სათადარიგო ჯარის ნაწილების შორის მტკიცე კავშირის განმტკიცება. საჭიროა ქვეითა სათადარიგო როტების სხვა და სხვა ნაწილების 30 კვირაში მომზადება; საჭიროა თეთრბილეთიანების შემმოწმებელ კომისიების გამრავლება.

დეზერტირების შესახებ ყრილობამ გამოსთქვა, რომ საჭიროა მათ წინააღმდეგ ენერგიული ღონისძიების მიღება. ამის გამო ყრილობა მოუწოდებს საზოგადო, სამხედრო და გლეხთა ორგანიზაციებს ყოველმხრივ დახმარების აღმოსაჩენად. სასტიკად უნდა აიკრძალოს სახელმწიფო თუ კერძო სამსახურში დეზერტირების მიღება. საჭიროა შესაფერი ზომების მიღება ყველა იმ პირთა ჯარში ჩასარიცხავად, ვინც სამხედრო სამსახურს ემალებიან; ზურგი ყველა მომუშავეთა შემოწმება ადგილობრივ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა თანადასწრებით უნდა მოხდეს.

## ეროვნული საკითხი

**გლეხთა ყრილობა უკრაინიზაციას მოითხოვს.**

**კამენეც-პოდოლსკი.** თიბათვის 20. (დაგვიანებულია) გლეხთა წარმომადგენლების მე-4 ყრილობა მიღებულ რეზოლიუციით, სამაზრო სამმართველოთა უკრაინიზაციას მოითხოვს. უკრაინიზაცია ადგილობრივ სამმართველო დაწესებულებებში უკრაინულ ენის შემოღებით უნდა განმტკიცდესო.

**უკრაინელი ჯარისკაცები სრულ ნდობას უცხადებენ დროებით მთავრობას**

**კიევი.** თიბათვის 20. „კიევლიანინ“-ი იუწყება. რომ ლუცკში მრავალრიცხოვან უკრაინელ ჯარისკაცთა მიტინგმა მიღებულ რეზოლუციით სრული ნდობა გამოუცხადა დროებით მთავრობასა და მ. და ჯ.-კ. დეპ. საბჭოს. რეზოლიუცია უკრაინის რადას თავისუფალ მოქმედობაში უსაყვედურებს. ჩვენ, ნათქვამია რეზოლუციაში, სრულს ნდობას ვუცხადებთ დროებით მთავრობას და დამფუძნებელ კრებამდის სახელმწიფოს კეთილად მიყვანას ვთხოვთ. ჩვენ დიდ რუსეთის რესპუბლიკიდან გამოყოფა არა გვსურს და მოუწოდებთ უკრაინელებს რუსეთის დემოკრატიისადმი სრულ ნდობის გამოსაცხადებლად და არა ცენტრალ რადის დადგენილებათა განსახორციელებლად. ცენტრალ რადის გერმანელების მომხრე ბურჟუა-კადეტებს მხოლოდ უფლების ხელში ჩაგდება და ჩვენზე მძიმე უღლის დადგმა სურსო. ჩვენ დაუყოვნებლივ მოვითხოვთ, რომ სამხედრო მინისტრმა უკრაინელ ჯარს საბრძოლველად გაყვანა უბრძანოსო.

## რუსეთი და უცხოეთი

**სურსათის სიმცირე**

**ბერნი.** თიბათვის 25. უსურსათობის გამო ბრბო დაესხა ქალაქის მაღაზიებს და წვრილ სავაჭრო დუქნებს. მიუხედავად ბრბოს ასეთ აღშფოთებულ მდგომარეობისა,—სალომოთი წეს-რიგი კვლავ აღდგენილ იქმნა.

**რუსულ მანეთიანის კურსის დაცემა**

**ჰელსინგფორსი.** თიბათვის 26. 100 მან. კურსი 130 მარკამდე ჩამოვიდა.

**თეირანი.** თიბათვის 26. პროგრესიული ფაჭრობის კომიტეტი აგიტაციას სწევს ქაღალდის მანეთის წინააღმდეგ. ბაზარში ღელვარებაა. მანეთი აბაზამდე ჩამოვიდა.

**შიმშილობა შტეტინში**

**სტოკჰოლმი.** თიბათვის 26. შტეტინიდან მოსულ ცნობათა თანახმად იქ სამართალში მისცეს 220 კაცი, რომელიც სიმშილობის ამბოხებაში მონაწილეობდა. 140 (მათში 72 მოხარდილი, 68 მოხარდი) სამსჯავროს გადასცეს, 40 გაამართლეს; 15 გადასცეს ჩვეულებრივ სასამართლოს—ნაფიც ვქილთა მონაწილეობით.

**გერმანულ ეროვნულ კავშირის მოწოდების უარყოფა**

**სტოკჰოლმი.** თიბათვის 26. ვენიდან იუწყებიან: გერმანულ ეროვნულ კავშირის მოწოდება, საგანგებო სახელმწიფო საბჭოს მოწვევა კონსტიტუციის გადასასინჯად არ მიიღესო.

## უკანასკნელი დეპეშები

**გურჯია კავკასიის მთიულთა დივიზიაში შედის პრაპორშჩიკათ.**

—

**მოსკოვის ხაქალაქო არჩევნებში ს.-რევოლიუციონერებმა გაიმარჯვეს მათ თავიანთი 115 კანდიდატი გაიყვანეს. კადეტებმა—34, სოც.-დემოკ.—24, ბოლშევიკებმა—22, სახალხო სოციალისტებმა—2.**

—

**ორანიებუმში დიდი სამხედრო მზადებაა. ორანიებაუმელები პეტროგრადზე გამოილაშქრებას ფიქრობენ—ამიტომ ზარბაზნებს და ტყვიისმფრქვეველებს სწმენდენ.**

—

**პეტროგრადის გარნიზონი ჰფიქრობს, თუ კრონშტადტელები პეტროგრადზე გამოილაშქრებენ—შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიონ მათ.**

**პეტრე-პავლობისა გამო, შემდეგი № გამოვა შაბათს, მკათათვის 1-ს.**

## ქრონიკა

### თბილისი

✦ **ნოე ჟორდანიამ** განცხადება წარადგინა ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში, რომ კომიტეტის კომისარობას თავს ვანებებ, რადგან თბილისიდან წასვლა მომიხდებაო.

✦ **თბ. სათავ.-მამულთ ბანკის** დამფასებელი კომისიის კანცელარია უკვე გადავიდა ბანკის ახალ შენობაში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

✦ **საფოსტო კომისარი** ბ. მამულია მთელი კომისიით გაემგზავრა სოხუმში ადგილობრივ საფოსტო სატელეგრაფო უწყების საქმეების განსახილველად.

✦ **თბილისის გარნიზონის უფროსად** მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭომ ერთხმად აირჩია პოლკოვნიკი სტეფანე გიორგის ძე ახმეტელაშვილი. დღემდე ის ბრიგადის უფროსად ითვლებოდა თბილისში მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს არჩევით. ახმეტელაშვილი ამავე დროს ბრიგადის უფროსის თანამდებობაზედაც დარჩება.

✦ **პეტრე-პავლეს ტაძრის დღეობა.** პეტრე-პავლობას, თიბათვის 29-ს, ავლაბრის პეტრე-პავლეს სახელობის ტაძარში წირვას ლიტონიით შესრულებს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრე ყოვლად უსამღვდელოესი ლეონიდე.

✦ **ხატისოვის კანდიდატურა.** „დაშნაკცუტუნის“ პარტიამ საქალაქო არჩევნებისათვის პირველ კანდიდატად წამოაყენა.

✦ **ქართველ ხელოვან-მწერალთა ყრილობა.** ქართ. ხელ. მწერ. ყრილ. მომწვევი კომისია ამით აცხადებს, რომ ყრილობაზე დასასწრები ბარათების მიღება შეიძლება თბილისის ქართულ დრამატ. საზოგ. კონტორაში სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა, 7 ივლისიდან. ბიურო განმეორებით სთხოვს იმ მწერალთ, რომელნიც შემთხვევით სიაში არ მოხვდნენ ყრილობაზე დასასწრები ბარათები მიიღონ ზემო დასახელებულ მისამართზე. მხატვრები, მუსიკოსები, მსახიობები და ჟურნალისტები ბილეთებს მიიღებენ იქვე.

✦ **დიაკვნებისა და მედავითნეების ყრილობა.** თიბათვის 26-ს თბილისში დაიწყო ყრილობა საქართველოს დიაკვნებისა და მედავითნეების დელეგატებისა. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა რევოლიუციის მსხვერპლთ და თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნა დროებით მთავრობას. კრებამ დაადგინა, რომ კრების მონაწილენი იზიარებენ ქართველ სამღვდელოების ყრილობის დადგენილებას, რომ შემოსავლის მესამედი მიეცემათ დიაკვნებსა და მედავითნეებს. თიბათვის 27-ს კრების რწმუნებულები წარუდგნენ მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს კათოლიკოსის მოსაყდრეს ლეონიდეს.

✦ **ახალგაზრდების მომზადება.** ახალგაზრდებთან მეცადინეობა, რომელნიც საყოველთაო აღწერილობისათვის რეგისტრატორებად არიან დანიშნულნი, თიბათვის 28-დან დაიწყობა. თვით აღწერას შეუდგებიან მკათათვის პირველ დღეებში.

### კავკასია

✦ **ერობა ამიერ კავკასიაში.** შინაგან საქმეთა მინისტრმა საგანგებო ზაკავკასიის კომიტეტს, ერობის შემოღების გამო, აუწყა, რომ დაარსდა საგანგებო კომისია კანონპროექტის შესამუშავებლად. კანონპროექტს დროებითი მთავრობა მახლობელ დღეებში დაამტკიცებს.

✦ **„პეტრ. ვედომ.“** იუწყება რომ კავკასიაში კომისრად სენატორი ნაბოკოვი ინიშნებაო. კომისართან ადგილობრივ და სხვა და სხვა უწყებათა და კანცელარიების წარმომადგენელთა საბჭო არსდება.

✦ **დეპუტაცია უწმ. სინოდის ობერ პროკურორთან.** თიბათვის 7 დღის 4 საათზე უწმ. სინოდის ობერ პროკურორს ვ. ნ. ლვოვს საქართველოდან ჩამოსული დეპუტაცია წარუდგა: დეპუტაციას პეტროგრადის ქართველთა კომიტეტის წარმომადგენლებთან ერთად ქართველ კოლონიის წარმომადგენელნიც მიჰყვნენ. დეპუტაციაში არიან: გორის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ანტონი, დეკ. ცინცაძე, მღვდ ჯაჯანაძე, თავადის მეუღლე ნ. ე. გელოვანი, სენატორი თავ. ზ. დ. ავალოვი, თავ. ნ. ე. ქობულოვი, ა. დ. არაბიძე და სხვ. დეპუტაციამ ლვოვს სთხოვა დროებით მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღძვრა, რომ დროებით მთავრობამ მალე დაამტკიცოს საქართველოს ეკლესიის ის უფლებები, რომლებიც საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობა კომისარ არ. ბენეშევიჩთან შეიმუშავეს.

### საქართველო

✦ **ამიერ კავკასიის კომისარიატში.** თბილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა მაისის 15-ს საყურადღებო პროექტი წარუდგინა განსახილველად და დასამტკიცებლად ამიერ კავკასიის კომისარიატს შესახებ იმისა, რომ თბილისის გუბერნიაში საგუბერნიო საერობო ორგანიზაცია და მთელი კრედიტი საგუბერნიო საგრონომიო ორგანიზაციისა ეხლავე გადაეცა საგუბერნიო სასურსათო კომიტეტისათვის. დედა აზრი პროექტისა ცხადია: მთელი საგრონომიო ორგანიზაცია, რომლის განმტკიცება და წაძღოლა დაუყონებლივ საჭიროა, უნდა მინდობოდა სასურსათო კომიტეტს. ეს პროექტი განიხილა ამიერ კავკასიის კომისარიატმა თიბათვის 17-ს აკაკი ჩხენკელის თავმჯდომარეობით და პაპაჯანოვის, ჯაფაროვისა და ქ. აბაშიძის თანადასწრებით, მაგრამ საჭიროდ არ სცნა მისი შეწყნარება. კომისარიატი თავის ასეთ უარყოფითი გადაწყვეტილებას იმით ასაბუთებს, რომ ახლო ხომავალში საერობო რეფორმები უნდა განხორციელდეს ამიერ კავკასიაში და იქას გადაეცემა საერობო საგრონომო ორგანიზაციები და მთელი კრედიტიო, კომისარიატმა თავისი დადგენილება თიბათვის 27-ს აცნობა სასურსათო კომიტეტს.

## ქართველთა სამხედრო კავშირის სეირნობა

დღეს, თიბათვის 29-ს, საღამოს, „ახალი კლუბი“-ს ბაღში, ქართველ მხედართა კავშირი მართავს დიდ საღამოს, რომლის წმინდა შემოსავალი მოხმარდება კავშირის მრავალგვარ საჭიროებას. საღამოს მოსაწყობად საგანგებო კომისიაა არჩეული, რომელმაც ყოველივე ღონე იხმარა საღამოს მრავალფეროვანად მოწყობისათვის. ამ საღამოს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მხედართა კავშირისათვის, არამედ მთელი ქართველი საზოგადოებისათვის. უნდა გავიხსენოთ, რომ კავშირმა პირველხანებშივე და შემდეგ ბევრი დაბრკოლება ჰნახა, მაგრამ არაფერს არ შეუშინდა, ყოველივე დაბრკოლება (შინაური თუ გარეული) სძლია და ამ ჟამად კავშირში 20.000-ზე მეტი წევრი ირიცხება. ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ კავშირს გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს სხვა და სხვა გვარი სკოლები: წერა-კითხვისა, საერთო განვითარებისა, საგიმნასტიკო, სამხედრო ვარჯიშობა და სხ. ყოველივე ეს დიდ ხარჯს ითხოულობს და აუარებელი ფულია საჭირო. ფულის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ დღევანდელი საღამო უნდა ჩაითვალოს და ამიტომ ყველა ქართველი ვალდებულია თავისი წვლილი შემოიტანოს, და ამით საღამოს გამმართველებს ხელი შეუწყოს.

## საქართველოს ეკლესიის ბედის გამო

თიბათვის 24 ს, საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ რუსეთის დროებით მთავრობას და სინოდის ობერ პროკურორს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

„დღევანდელი გამოურკვეველი მდგომარეობა საქართველოს ეკლესიისა იწვევს მრავალ ადგილას არა სასურველ გაწვავებას რუს-ქართველთა შორის. ეგზარხოსის მოადგილე ბაქოს ეპისკოპოსი გრიგოლი, რომელიც ემყარება სინოდის კანტორას, აწარმოებს დაჟინებულ მტაცებლობის პოლიტიკას იმ ცხადის განზრახვით, რომ ქართველთა და რუსთა საეკლესიო ინტერესების გამიჯვნის საბოლოო მომენტისათვის მთავრობას მიაღებინოს უკვე შესრულებული ფაქტი. ბოდბის წმ. ნინოს ქალთა მონასტერში დანიშნულია მოძღვრათ რუსი—ბერი. ქართული კრებული გამოდევნილია მონასტრიდან, რომელიც წარმოადგენს ხალხის სიწმინდეს, საქართველოს გამანათლებელ წმ. ნინოს განსასვენებელ ადგილს. 1500 წლის განმავლობაში ქართველი ხალხის გული მიქცეული იყო ბოდბის მონასტრისადმი. მონგოლთა და მუსულმანთა ურდოების საშინელ აოხრების ჟამსაც კი არ შეუწყვეტია ქართველ კრებულს ვედრების აღვლინება წინაშე წმ. ნინოს საფლავისა. დღეს კი განახლებულ რუსეთში მორწმუნე ქართველებს უკრძალავენ ნუგეშის ცემას თავის განმანათლებლის სავანის წინაშე. ბოდბეს ახლო მდგომ ჯარის კაცებს ასისიანებენ ქართველებზე. ხალხი და კრებული იმყოფება მუდმივ მუქარის ქვეშ. ამასთან ერთად აულაბრის მთავარანგელოზის ეკლესიის წინამძღვარი დეკ. იაშვილი ეპისკოპოსმა გრიგოლმა გამოუძიებლად და გაუსამართლებლად გადააყენა ადგილიდან. გაამწესა რუსი მღვდელი კარტაშოვი. ქართულის უცოდინარი, ეკლესია ისტორიულად ქართულია, მხოლოდ ამ ბოლო დროს მრევლი გახდა რუსულ-ქართული და წირვა-ლოცვა სრულდებოდა რუსულად და ქართულად. ახლა ეპ. გრიგოლმა ეს ეკლესია გამოაცხადა წმინდა რუსულად. 17—18 ივნისს მოხდა შეტაკება რუსთა და ქართველთა. რუსებმა მოიწვიეს მახლობელ სასურსათო მაღაზიის კომანდიდან რამდენიმე ასეული სალდათი. სისხლის ღვრა აცილებულ იქმნა ქართველთა მოთმინებით, რომელთაც დაუთმეს უხეშ ძალას. საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობის სახელით მოგმართავთ თხოვნით მიაქციოთ ყურადღება ეპ. გრიგოლის და სინოდის კანტორის უკანონო მოქმედებას, რომელიც მიმართულია ქართველების საბოლოოთ გამოსაძევებლათ მშობლიურ წმიდა ადგილებიდან. წასისიანების და თვითნებურ მტაცებლობის პოლიტიკა ძალიან ამწვავებს ურთიერთობას ორ ერთმორწმუნე ხალხთა შორის. დროებითი მმართველობა გამოსთქვამს რწმენას, რომ სანამ ნაჩვენებ მტაცებლობით ძალადობათა მომიზეზენი დარჩებიან თავიანთ ადგილებზე, აქაური ეკლესიური მშვიდობა შეუძლებელია. გთხოვთ მიიღოთ ზომები მორწმუნე ქართველთა გათელილ უფლებათა აღსადგენათ.

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის თავმჯდომარე ქათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრე ეპ. ლეონიდი.

## წერილი აჭარიდან

აჭარლები თავისუფლებას ცოტა ალმაცერად შეხვდნენ. მოხდა ის, რასაც ანდაზად იტყვიან: „შეშინებულმა ჯიკვს უყეფაო“. ძნელია აჭარლების გამტყუნება, მათ ჯერ კიდევ არ დაუვიწყნიათ და ვერც ივიწყებენ ძველი მთავრობის ჯარის მიერ დასჯას, ოხრებას, გადაწვას, ქალთა ნამუსის ახდას და ათას გვარ უბედურებას. მწარეთ დასჯილ აჭარელს, ამიტომ ახლაც ეშინიან და ვერ წარმოუდგენიათ თუ ძველი უსამართლო მთავრობა „გაცვთა“ (მოკვდა) და შიში აღარაფრისაა.

თავისუფლების პირველ დღეებში აჭარლებმა ძველი მოხელეების ისევ თავიანთ ადგილას დატოვება ითხოვეს, ყველა მოხელეს ნდობა გამოუცხადეს და მით ყველა მოიმადლიერეს. ბევრი ჩ ჩინის შემდეგ, როგორც იქმნა ძველი მოხელეები აჭარას მოაშორეს, მაგრამ ახლა ახლების დანიშვნამ გამოიწვია უსიამოვნება—თანამდებობაზე ძველი მთავრობის მიერ დაჯილდოებულნი აირჩიეს. ბათომის აღმასრულებელმა კომიტეტმა ძველი რეჟიმის მომხრეები არ დაამტკიცა. ამით ისარგებლეს თავმა „კაცებმა“ და ათას გვარი ჭორი გაავრცელეს, ხალხს უმტკიცებდნენ ჩვენ იმიტომ არ გვამტკიცებენ, რადგან ჰსურთ ქრისტიანი დაგვინიშნონ და გაგვაქრისტიანონო. ამას ბაქოელებმაც შეუწყვეს ხელი, ბაქოს მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოების აგენტები ბევრს მუშაობდნენ, რომ აჭარლები ქართველებისთვის ჩამოეშორებინათ. ზედა აჭარაში, სოფ. ხულოში, საქველმოქმედო საზოგადოებაც კი დაარსეს და ორი ათას მანეთამდეც მოჰკრიბეს.

ზემო აჭარას დაუმტკიცებლად გაუბატონდა „სტრაჟნიკების“ უფროსად

ნამყოფი თემურ ბეგი ხიმშიაშვილი. მდგომარეობა გამწვავდა და რომ უფრო არ გამწვავებულიყო და რომ აჭარლებსაც ახალი მთავრობა მთავრობათ ეცნოთ და მის განკარგულებას დაჰმორჩილებოდნენ, ამიტომ თიბათვის 4-ს აჭარაში გაჰგზავნეს ახლად კურს დამთავრებული იურისტი, აჭარელი ხასან ეფენდი ლორთქიფანიძე, ქართველი სკოლის მასწავლებელი აჭარაში ნამყოფი ალექ. მგელაძე და ერთი რუსი ოფიცერი. აჭარელთა ყრილობა ორ ბანაკად გაიყო: უმეტესობა ითხოვდა ზემო აჭარის ბოქაულად თემურ ბეგი დაემტკიცებინათ, უმცირესობა კი ხმა მაღლა უშიშრად გაიძახოდა: ჩვენ თერთმეტი სოფელი ახალთაობის ვართ, სხვები კი ძველი რეჟიმს აღდგენის მომხრენი არიან, არ გვინდა დიდ კაცები, ჩვენ „ფუხარები“ ვართ და გვინდა ჩვენი სასარგებლო კაცი ავირჩიოთ და არა ჩვენს ზურგზე გასუქებულიო. ხასან ეფენდიმ როგორც იქნა თემურ ბეგი დააჯერა გადამდგარიყო. მაგრამ ბეგის მომხრეებმა უფროსად თემურ-ბეგის ვაჟი შევქეთ ბეგი აირჩიეს. ბათუმის აღმასრულებელმა კომიტეტმა შევქეთ-ბეგი დაამტკიცა და მით აჭარლებს დიდი პატივი სცა. ვნახოთ თუ როგორი უფროსი და აჭარლების ქრისუფალი იქნება ეს ახალგაზრდა ბეგი.

ხულოდან კომისიის წევრები ქვედა აჭარას ეწვიენ, მაგრამ რაკი რამაზანმა (მარხვა) უსწრო უფროსის არჩევა გადაიდო.

ა. წ—ძე.

## გლეხთა ყრილობა

### რეზოლიუციები

**ხკოლის საკითხის შესახებ.**

გლეხთა ყრილობას აუცილებლივ მიაჩნია, რომ დაუყოვნებლივ მოხდეს სკოლების ნაციონალიზაცია, რასაც საფუძვლად უნდა დაედვას შემდეგი: 1) სკოლა უნდა იყოს საერო, ამიტომ აუცილებელია მისი ეკლესიიდან გამოყოფა. 2) სკოლა უნდა იყოს ეროვნული, რისთვისაც საჭიროა ყველა საგნის სამშობლო ენაზე სწავლება, ამასთანავე რუსული ენა, როგორც სავალდებულო საგანი. 3) ეროვნულ თვითმართველობების შედგენამდე, სკოლების გამგებლობა ადგილობრივი ორგანოების ხელში უნდა გადავიდეს. 4) სკოლებისთვის თვალყურის დევნა დავალებული აქვს კოლეგიურ ორგანოს, რომელიც კომისარებიდან შესდგებიან (თითო თითოეულ ეროვნებისაგან). 5) ყველა ტიპის სკოლების პედაგოგიური პერსონალი თავისუფალია სამხედრო ბეგარისაგან. 6) რადგანაც დამფუძნებელი კრება სკოლების საკითხს ზამთრამდე ვერ გადასჭრის, ამიტომ ყრილობას აუცილებლივ მიაჩნია, რომ სკოლების ნაციონალიზაცია ამ წლის ენკენისთვიდან მოხდეს.

**მიწის საკითხის შესახებ**

განიხილა რა გლეხთა ყრილობამ მიწის საკითხი საყურადღებო სცნო დამფუძნებელმა კრებამ ძირიანად შესცვალოს მიწის საკითხის მდგომარეობა ჩვენში და ცხოვრებაში რამდენიმე პრაქტიკული ზომები განახორციელოს.

დამფუძნებელი კრების დანიშნულება უნდა შეადგენდეს ის, რომ იხსნას გლეხკაცობა ეკონომიურ მონობის უღელისგან და თვით-მოქმედების გზაზე დააყენოს. ამიტომ აუცილებლივ საჭიროა

1) ყველა სახაზინო, სამონასტრო, საეკლესიო, საუფლისწულო და საკაბინეთო მიწებს კონფისკაცია და ადგილობრივ სათვითმართველო ორგანოებს ხელში გადაეცემა.

2) კერძო მესაკუთრეების მიწები, რომელთაც მფლობელობა დაწესებულ ნორმას აღემატება—უნდა ჩამორთმეულ იქნას შეუსყიდველად და ადგილობრივ ორგანოებს უნდა გადაეცეს.

3) უმამულო გლეხები მიიღებენ მიწას დაწესებულ ნორმაზე ის გლეხები, რომელთა მიწის მფლობელობა დაწესებულ ნორმაზე ნაკლებია, მიიღებენ შესავსებ მიწას. ის გლეხები კი, რომელნიც თავიანთ მამულზე ხელს აიღებენ, თავიანთი შრომის გასამრჯელოს მიიღებენ (თუ რამე აუშენებიათ, სარწყავი თუ გაუყვანიათ და სხვები ამგვარი).

4) ის ტყეები, და წყლები, რომელთაც ადგილობრივი მნიშვნელობა აქვთ ადგილობრივი თვითმართველობის ხელში გადავა. ის ტყეები კი, რომელთაც საერთოთ ამიერ კავკასიისთვის აქვს მნიშვნელობა, ამიერ კავკასიის ცენტრალ მმართველობის ხელში გადავა.

დამფუძნებელმა კრებამ შემდეგი რეფორმები უნდა განახორციელოს:

1) უნდა დაიცვას ტყეები და ტყეების სწორ ექსპლოატაციას ხელი უნდა შეუწყოს. ამასთანავე თავს უნდა იდვას იმ ტყეების პატრონობა, რომელნიც რევოლიუციის დღეებში პატრონებმა ბედის ამარა მიატოვეს.

2) შეიმუშავოს ტყის მოჭრის ნორმა. სამხედრო შენაკვეთი ამ ნორმაში არ შევა-

3) მოჭრილი ხე-ტყის შემოსავალი დაუყოვნებლივ უნდა შეტანილ იქმნას სახელმწიფო ბანკში.

4) სახელმწიფო, საუფლისწულო, საეკლესიო და სახაზინო ტყეები ელმ. კომიტეტის ხელში დროებით გადავა.

5) ყოველივე გადასახადი გლეხებზე დამფუძნებელ კრების მოწვევამდე ისპობა.

რეზოლიუციების გამოტანის შემდეგ მოხდა გლეხთა საოლქო ცენტრის არჩევნები.

სულ უნდა აერჩიათ 41 წევრი. თავმჯდომარეს წინადადებით მოწვეულ იქმნენ პრეზიდიუმში ეროვნებათა სექციების წარმომადგენლები, რომელთაც თავ-თავიანთი სექციების სახელით კანდიდატთა სიები წამოაყენეს.

დასახელებულ იქმნენ შემდეგი პირები: **ქართველების** მხრივ, გედევანიშვილი, თევზაია, რამიშვილი, ერზიკიანი, ცაბაძე, გელეიშვილი, ჩიხლაძე, ქარცივაძე, კვარაცხელია, ქელბაქიანი. **სომხების მხრივ** კაზარიან, შარავიანი, დჯამალიან, ვრატიანი, გოზარიან, შოშიანი, ჭელიშეკიანი, საღოთელიანი, კოკოანი, ჩილოხიანი, ზაქარიანი. **მუსულმანების** მხრივ: ალიევი, იუზბაიევი, ალიევი, შაირამინოვი, ზეილანოვი, სულთანოვი, ახუნდოვი, განჯინსკი, მაგარაზოვი, გაჯიევი. **გერმანელების** მხრივ ბერშტეინი. **რუსების** მხრივ ბერიოზოვი, ვერინინი, მერხალოვი. **ოსების** მხრივ ფარნიევი. **ბერძნების** მხრივ გურდჯუა.

სულ ბოლოს აჭარლებმაც წამოაყენეს თავიანთი კანდიდატები. მათ დაასახელეს: ა. ჩხენკელი, წულუკიძე და მაჰმედ აბაშიძე. ყრილობამ მათი კანდიდატები მხურვალე ტაშის ცემით დააკანონა.

ამ არჩევნების შემდეგ უკანასკნელი სიტყვით ყრილობას აკ. ჩხენკელმა მიჰმართა. გლეხთა ყრილობა დასრულდა.

მ. საირხელი.

## დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის კავკასიაში

კვირას ვ. ა. ხარლამოვის თავმჯდომარეობით მოხდა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის სხდომა დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის. სხდომაში მონაწილეობდნენ ამიერ-კავკ. ყრილობის წევრები, მ. და ჯ.-კ. დეპუტატები, საოლქო ჯარისკაცთა, მუშათა და გლეხთა დეპუტატები და ქალაქის საარჩევნო კომიტეტის წარმომადგენლები. ყრილობა შეეხო იმ საკითხს თუ რამდენ საარჩევნო ოლქად უნდა გაიყოს ამიერ-კავკასია და რამდენად მიზანშეწონილი იქნება ესა თუ ის დანაწილება პრინციპათ არჩევნების დემოკრატიზაციისთვის და უფრო კი არჩევნების პროპორციალობის დაცვისათვის. ყველა ორატორი ერთხმად მოითხოვდა კავკასია ერთ საარჩევნო ოლქად გამოვაცხადოთო, მაგრამ მიიღო რა ყრილობამ მხედველობაში ადგილობრივ პირობების გამო შექმნილი ტეხნიკური დაბრკოლებანი, რომელიც კავკასიის დელეგატებს დამფუძნებელ კრებაზე დააგვიანებს, მაშინ, როდესაც დიდი საკითხები იქნება იქ გადასაწყვეტი, ყრილობამ უარჰყო კავკასიის ერთ საარჩევნო ოლქად გამოცხადების წინადადება. წინააღმდეგ წავიდნენ: წარმომადგენელნი სოც.-დემ., სოც.-ფედ., ჰინჩაკისტები, ამიერ-კავკასიის საბჭოს მაჰმადიანთა სექციის წარმომადგენელი, მ. და ჯ. დეპ. საბჭოსი, კავკასიის ლაშქრის სამხედრო ცენტრისა და თბილისის მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოსი. კავკასიის ერთ საარჩევნო ოლქად გამოცხადების მომხრენი იყვნენ: სოც.-რევ., დაშნაკცაკანები, კონსტ.-დემოკრატების ბაქოს კომიტეტის წარმომადგენლები, მათ განაცხადეს, რომ მათ უერთდება ამავე პარტიის კომიტეტი თბილისში. ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმა გადასინჯა რა საკითხი—უმრავლესობით, მ. ი. პაპაჯანოვის წინააღმდეგ—ყრილობამ დაადგინა დაარსდეს საგანგებო კომისია, რომელშიაც იქნებიან თითო წარმომადგენელი: სოც.-დემ., სოც.-ფედ., სოც.-რევ., დაშნაკ., ჰინჩაკისტებისა, კადეტებისა, ქართველ ეროვნულ-დემოკრატებისა, სომხ. სახალხო დემ. პარტიისა, მაჰმადიანთა—3 და საში მუშათა და ჯ.-კ-თა გაერთიანებულ ცენტრიდან, თითო სექციიდან, რომელსაც მინდობილი აქვს სულ მცირე ხანში გამოარკვიოს დამფუძნებელ ყრილობის არჩევნების მდგომარეობა სრულიად რუსეთის იმ ცენტრალ კომისიის მიხედვით, რომელსაც ფ. ფ. კოკოშკინი ხელმძღვანელობს. რაც შეეხება საარჩევნო ოლქების (ამიერ-კავკასიაში) რიცხვის საკითხს, აშკარა ხასიათი მიიღო სამმა აზრმა. პირველის აზრით ამიერ-კავკასია ორ ოლქად იყოფა—დასავლეთი და აღმოსავლეთი, სხვებმა გამოსთქვეს სურვილი დაარსებულიყო სამი ოლქი თანახმად მცხოვრებთა უმეტესობისა ამიერ-კავკასიაში და ადმინისტრატიულ საზღვართა მიუხედავად; დანარჩენნი მოითხოვენ 5 ოლქის დაარსებას, ამასთანავე მცირე ადმინისტრატიული ერთეულები (გუბერნიები, ოლქები და სხ.) უნდა შეუერთდეს დიდ ერთეულებს.

## გადასახადი შემოსავალზე

დროებით მთავრობის დადგენილებით, ის შემოსავალი, რომელიც 1.000 მანეთს არ აღემატება, გადასახადისაგან განთავისუფლებულია; თუ კიდევ შემოსავალი 1.000 მანეთს აღემატება, მაშინ ყოველ წლიური გადასახადი ამ სიის მიხედვით უნდა იხადოს.

| შემოსავლის რაოდენობა. მანეთიდან. | მანეთამდის | გადასახადის რაოდენობა. მანეთ. |
|---|---|---|
| 1.000 — | 1.100 | 12 |
| 1.100 — | 1.200 | 14 |
| 1.200 — | 1.400 | 17 |
| 1.400 — | 1.600 | 21 |
| 1.600 — | 1.800 | 26 |
| 1.800 — | 2.000 | 31 |
| 2.000 — | 2.300 | 39 |
| 2.300 — | 2.600 | 48 |
| 2.600 — | 2.900 | 57 |
| 2.900 — | 3.200 | 68 |
| 3.200 — | 3.600 | 83 |
| 3.600 — | 4.000 | 100 |
| 4.000 — | 4 500 | 124 |
| 4.500 — | 5.000 | 150 |
| 5 000 — | 5 500 | 182 |
| 5.500 — | 6.000 | 216 |
| 6.000 — | 6.500 | 254 |
| 6.500 — | 7.000 | 294 |
| 7.000 — | 7.500 | 338 |
| 7.500 — | 8 000 | 384 |
| 8.000 — | 8 500 | 434 |
| 8.500 — | 9.000 | 486 |
| 9.000 — | 9.500 | 542 |
| 9.500 — | 10.000 | 600 |
| 10.000 — | 11 000 | 704 |
| 11.000 — | 12.000 | 816 |
| 12.000 — | 13.000 | 936 |
| 13.000 — | 14.000 | 1 064 |
| 14.000 — | 15.000 | 1.200 |
| 15.000 — | 16.000 | 1 344 |
| 16.000 — | 17.000 | 1.496 |
| 17.000 — | 18.000 | 1.656 |
| 18.000 — | 19.000 | 1 824 |
| 19.000 — | 20.000 | 2.000 |
| 20 000 — | 21 000 | 2.184 |
| 21 000 — | 22.000 | 2 376 |
| 22.000 — | 23.000 | 2.576 |
| 23.000 — | 24.000 | 2.784 |
| 24 000 — | 25.000 | 3.000 |
| 25.000 — | 26.000 | 3.165 |
| 26.000 — | 27.000 | 3 332 |
| 27.000 — | 28.000 | 3.504 |
| 28.000 — | 29.000 | 3 679 |
| 29.000 — | 30.000 | 3.857 |
| 30.000 — | 31.000 | 4 039 |
| | | და სხვ. |

ის შემოსავალი, რომელიც 400.000 მანეთს აღემატება, იხდის 120.000 მანეთთან ერთად ყოველ მეტ 10.000 მანეთზე 3.050 მანეთს მიმდინარე 1917 წ. გადამხდელები ვიდრე გადასახადის საგანგებო ფურცლებს მიიღებდნენ, მარიამობისთვის 1-მდის ხვედრ გადასახადის ნახევარი უნდა შეიტანონ, და ფურცლების მიღებისას დანარჩენიც ღვინობისთვის 2-დის.

სხვა და სხვა გაუგებრობის უჩნის საკრებულოსა თუ მის თავმჯდომარესთან გამოსარკვევად, მე-102-ე დებულებით მიცემული 4 თვიური ვადა გადასახადის მიმცემთ ეხლა ესპობათ.

## რათ გაჩუმებულა გლეხი

ერთი რამ აკვირვებს ბევრს ჩვენგანს ამ ჟამათ როცა ჩვენი ქვეყნის გარდაქმნის გამო ყველა ახმაურდა, ყველა ბჭობს და ბაასობს, არ ისმის მიწის მუშა გლეხის ხმა, არსად სჩანს მისი დარაზმულობა ისე, როგორც სხვა წოდებათა ხალხისა. ის ისევ უთავისნოა, ცხოვრებისაგან გამდგარი. თუ დაეკითხნენ, პასუხს იძლევა, თუ დაიბარეს მოვა. არა და—არის თავისთვის, თითქოს არა გამოცვლილა რა.

რა არის ამის მიზეზი?

ორი რამ.

თავ-აღებულათ და წელ გაუსწორებლათ მუშაობდა თავის ყანაში, რომლის შემოსავალი მას ზოგჯერ ძლივს ყოფნიდა, ხოლო უფრო ხშირათ არც ყოფნიდა სახელმწიფო, სასოფლო, სახუცო და კიდევ მრავალნაირ არა კანონიერ, მაგრამ სავალდებულო გადასახადების გასასტუმრებლათ. თავის ოჯახის სარჩენი მას ყანის გარეშე ათასნაირ გაჭირვებით უნდა მოეპოვა ლუკმა ხმელი პური.

ამიტომაც მას არასოდეს არ სცალოდა საერთო საგლეხო საქმეზე არა თუ ზრუნვისა და თავდარიგისათვის, არამედ ფიქრისათვისაც კი. სავალდებულო სასოფლო ყრილობასაც კი იგი მხოლოთ მაშინ ესწრებოდა, როცა გზირი ან დარაჯი ძალით მოიყვანდა.

და თუ რომელიმე გლეხი მოისურვებდა საგლეხო-სასოფლო საქმეზე თავისი აზრის ხმამაღლა გამოთქმას, მას იმწამსვე ჩააჩუმებდენ. გზირი, სოფლის მწერალი, მამასახლისი, ერთი სიტყვით ყველა სოფლის წურბლები, რომელთაც ზურგს უმაგრებდენ საპოლიციო დარაჯები და პოლიცია.

აი მიზეზები, რომელთა გამო მიწის მუშა გლეხი გადაეჩვია არა თუ სასოფლო, საერთო საგლეხო საქმეებზე ზრუნვას, არამედ თავის საპირადო და საოჯახო საქმეზედაც კი მაღლა ხმის ამოღებას.

ასე იყო წინათ.

მოხდა რევოლიუცია.

რევოლიუციის პირველ დღეეში რევოლიუციის სოფლად გამტარებელნი დარჩა იგივე რევოლიუციის წინადროინდელი პოლიცია.

ამის შედეგი კი ის იყო, რომ სოფლის სათავეში მოექცნენ იგივე მამასახლისები, მწერლები და სხვა სოფლის წურბლები, ხოლო ზოგან კი მაგალითად ნუხისა და ზაქათალის ოლქში პირდაპირ კატორღიდან დაბრუნებულნი ნავააზაკარნი.

მათი გავლენა კიდევ უფრო განმტკიცდა სოფლათ და სადაც ახალი არჩევნები მოხდა, ისევ ისინი ამოირჩიეს ან მათი დამქაშები.

მიწის მუშა გლეხი, დღესაც მათ კლანჭებშია, დაჩაგრული, თავისნობა წართმეული და ნების ყოფა დაკარგული.

ასეთია დღეს მიწის მუშა გლეხის მდგომარეობა.

რა უშველის საქმეს? აი რა:

ამიერ კავკასიის შინაგან საქმეთა კომისარმა განსაკუთრებული მიზნით დაიბაროს გუბერნიის, ოლქების და სამაზრო ქალაქები და დიდრონი სოფლები, დაიბაროს სოფლების კომიტეტების წევრნი, ხალხი და კოოპერატივების გამგეობები და აუხსნას მათ მოკლეთ და მკაფიოდ რაც მოხდა 27 თებერვალს აქეთ, რა მოეთხოვებათ მათ და როგორ უნდა მოიქცენ ისინი, როგორც ერის კაცნი და თავისუფალი მოქალაქენი, საგუბერნიო, სამაზრო და სასოფლო საქმეებში.

გუბერნიის კომისარებს დაავალოს ფხიზლათ ადევნონ თვალ-ყური მაზრების კომისარებს და სამაზრო კომიტეტებს, და ეს უკანასკნელი კი აიძულონ სოფლის კომიტეტების მოქმედებას რაც შეიძლება მალ-მალ გაუკეთონ რევიზია და შედეგი წერილობით მოახსენონ საგუბერნიო კომისარიატებს.

გამოარკვევინოს საგანგებო გამოძიებლებს რევოლიუციის პირველ დღეებში მომხდარ არჩევნების საქმე და რაც ამოჩნდება, აუწყონ ხალხს ოფიციალურათ.

აიძულონ ყველა კომისარები, კომიტეტები და ხელის უფალნი, რომ სოფლის არც ერთი საქე არ გადასწყვიტონ სოფლის ხალხის კანონიერ რიცხვის დაუსწრებლათ, რომ ყოველივე სოფლის დადგენილებისათვის, სოფლის ყრილობაზედვე შედგენილ იქმნას ოქმები და იმ ოქმებსაც ყრილობაზედვე მოაწერონ ხელი. ყოველივე საჩივარი სოფლის კაცისა ადგილობრივ ხელისუფლებზე და სასამართლოს განაჩენზე იხილებოდეს არა უგვიანეს ორი თვისა საჩივრის შეტანის დღიდან.

ყოველივე ამის შესრულება ხალხს გააგებინებს და ცხადად დაანახვებს, რომ ქვეყნის წყობილება გამოცვლილა ნამდვილათ ხალხის სასარგებლოთ და არა ქაღალდზე დასაწერათ და მიტინგებზე სალაპარაკოთ.

ილია ქყონია.


**ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მოძრაობა**

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 8, | 11.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.48 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3.20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-8, | 11.13 | საღ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ბაზ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.48 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 8, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

**წიგნის გამომცემლობა „განათლება“ ქუთაისში**

ამ ჟამად იბეჭდება წიგნის გამომცემლობის „განათლების“ შემდეგი გამოცემანი:

1) ქართული გრამატიკა (ვრცელი) სილ. ხუნდაძისა.
2) ქართული გრამატიკა (მოკლე) მისივე.
3) ქართული მოკლე გრამატიკა იას. ნიკოლაიშვილისა.
4) ელემენტარული გეომეტრია, შედგ. ს. ოცხელის მიერ.
5) ალგებრაულ ამოცანათა კრებული, შედ. ს. შარაშენიძისა და ნ. სვანიძის მიერ.
6) არითმეტიკული კრებული გიმ. I კლ. — ალ. ჯაფარიძისა,
7) „ „ „ II „ — ს. დათეშიძისა
8) „ „ „ III „ — ალ. მგალობლიშვილისა.

**მზადდება გამოსაცემად:**

ქართული ანბანი შედგ. მასწავლებელ ქალთა ჯგუფის მიერ.

ქართული ენის სახელმძღვანელო გიმ. I და II კლ. „ „ „ III და IV „ — შედგ. ქუთ. ქართ. გიმნ. მასწავლებელთა ჯგუფის მიერ.

პირველდაწყებითი ალგებრა მე-III და IV კლ. კურსი ს. ოცხელისა.

გეოგრაფია ივანოვისა I კლ. კურსი (თარგმანი)

ქართული სიმღერები, ნოტებზე გადაღებული ნ. შარაბიძის მიერ (საშუალო გამოცემა)

მიღებულია აგრეთვე სხვა და სხვა წიგნი, რომელთა გამოცემის შესახებ ცალკე განცხადება იქნება.

**მისამართი:** Кутаисъ, кнгоиздательство „Ганатлеба“.

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და ხმარონ ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის** და ამხ-ს ქარხნის ხაუქეთესო ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის** წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“



**მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე**

სუნი და გემოც საამური აქვს

წ.

**საავადმყოფო**

**სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისთვის:**

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

**ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.**

ბელანჟე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. დებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
გვინაძე—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახპახოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირადოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მოწხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1ს სათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საშვილოსნო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
ოსხელიანი—ქალთა დ საშვილოსნო ავად. დებულობს ორშ., ოთხშ. დ პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაფათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე. ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—28

**თავზის მრეწველნი ძმ. ძეგველოვები**

პუშკინის ქუჩა, ხაკუთარი სახ., № 3, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მიიღება საკუთარი და სავაჭრო სახლ. „ძ. ძეგველოვ-ების, ხამრეწველოებიდან ახალი ქერითის თამბაქო, მცირე მარილიანი, შავი „წვ“ შიშნი“ ხიზილალა. მიიღება საუკეთესო სალიანის შამაიკა მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თარაღი, ქაშაყი და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველნაირი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება. (წ.)

მაისის 7-დან გამოდის ქართველ სამხედრო პირების თანამშრომლობით გაზეთი

„ჯარის კაცი“

გაზეთი წლის დამლევამდე ღირება 4 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი 5 კაპ. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: г. Тифлисъ. Редакція газ. „Джарисъ Каци“. Почтовый ящикъ № 190

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია სასახლის ქუჩაზე № 5 და ღია არის დილის 10—2 ს. და საღამოს 7—8 ს.

10—740—4 რედაქტორ გამომცემელი ქ. ცქიტიშვილი.




სტამბა „ცხოვრება“ ასლან კალანდაძისა გაპაევის შესახვევი № 4

გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო“